



GRUNI
გრიგორ რობაქიძის უნივერსიტეტი



დედაენის დღისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსის მასალები



2021



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის ინსტიტუტი

დედაენის დღისადმი მიძღვნილი უსეუბის კონკურსის მასალები



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

რედაქტორი:
ბულიკო გალდავა

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:
მერი ლომია
დიანა ტყეშუჩავა
მაია ნადარეიშვილი
ოთო არაბიძე (სტუდენტი)
ლიზი ჩიმჩიშვილი (სტუდენტი)
მარი ფოლადაშვილი (სტუდენტი)

ტექნიკური რედაქტორი და დიზაინერი: მაია ნადარეიშვილი

- © გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, 2021
- © გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ამერიკისა და ბრიტანეთის შესწავლის ინსტიტუტი, 2021
- © საკონკურსო ნაშრომთა ავტორები, 2021

გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-094-0

ს ა რ ჩ ე ვ ი

17 აპრილი, 2021

თამარ აქუზარდია

ამბავი ერთი შურისგებისა, ანუ პირველი დებატები
საქართველოში 7

ცოტნე ტალახაძე

მადლობა სამოსელისთვის..... 16

მერი გვილაგა

ჩვენი ენა ქართული..... 18

სალომე სვანიძე და თინათინ ლოგჯანიძე

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ 25

ბიორბი ბალიშვილი

უცხო ქუჩაზე საკუთარი ქედით..... 29

ცირა გვასალია

მშობლიური ენის დაცვის თავდადება..... 31

ლიზი ჩიმჩიური

ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ 36

მარიამ ფოლადაშვილი

ლეგან გოთუას ვარაძი..... 43

მარიამ ზაქარაძე და ოთო არაბიძე

დამპყრობელთა კვალი ქართულ ენაზე..... 46

ბიორბი ზედელაშვილი

უორდროების ღვაწლი საქართველოს კულტურისა და
ისტორიის პოპულარიზაციაში 54

ანა ურდულაშვილი

ქართული კულტურის კერები უცხოეთში 57

მარიამ კაპანაძე

ქართული ენის მოამაგენი 62

თამარ მუსაბლიშვილი

სიყვარული ატრიალებს..... 66

დედაენის დღისადმი მიძღვნილი
ესეების კონკურსის მასალები

17 აპრილი, 2021

კონფერენციის ორგანიზატორი პროფესორები:

მერი ლომია,
დიანა ტყეშუჩავა,
მანა ნადარეიძე

კონფერენციის ორგანიზატორი სტუდენტები:

ოთო არაბიძე,
ლიზი ჩიქიური,
მარი ფოლადაძე

მომხსენებლები:

თამარ აქუბარდია
ცოტნე ტალახაძე
მერი ვვილუა
სალომე სვანიძე
თინათინ ლობჯანიძე
გიორგი ბაღიშვილი
ცირა ვასალია
ლიზი ჩიქოური
მარი ფოლადაშვილი
მარიამ ზაქარაძე
ოთო არაბიძე
გიორგი ზედუღაშვილი
ანა ურდუღაშვილი
მარიამ კაპანაძე
თამარ მესაბლიშვილი

თამარ აქუბარდია

ჭალის თემის N1 საჯაროს
სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

ამბავი ერთი შურისგებისა,¹ ანუ პირველი დებატები საქართველოში

კოლხეთის მიწაზე, საქართველოს უგრძეს მდინარეებს შორის ერთ-ერთი — ხობისწყალი მოედინება. ეს არ არის ჩვეულებრივი მდინარე. მის გარშემო ქალაქი (ხობი), დაბა (ჩხორონწყე) და უამრავი სოფელია გაშენებული. მეორე მსოფლიო ომის დროს მასზე შავი ზღვის ფლოტი განლაგეს და 2000-იან წლებში ნავთობტერმინალი ააშენეს, შემდეგ ჰესებიც... თუმცა, ეს მდინარე მხოლოდ ორი ჰესი როდია. ჩვ. წ. 554 წელს ამ მდინარის ნაპირებზე ბიზანტიელებმა მოტყუებით მიიყვანეს და სიცოცხლეს გამოასალმეს ეგრისის მეფე გუბაზ II. საუკუნეების წინათ მომხდარი ეს ამბავი, შეიძლება, თანამედროვე გადმოსახედიდან, ისტორიის ნაწილად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ ამბავს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა — შურისძიებისა და დამნაშავის დასჯის მიზნით გამართული, ერთ-ერთი უძველესი და გამორჩეული ქართული დებატები.

რატომ იღებატეს

გუბაზ II-ის მკვლელობას წინ უძღოდა ეგრისში დიდი ომიანობა. მეფე ორ სტიქიას შორის გაჭედდებოდა... მას

არჩევანის გაკეთება უწევდა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. სპარსელებისგან მოკვდინებას ერთხელ უკვე გადაარჩენილმა გუბაზმა, ამჯერად ბიზანტიას მიაპყრო იმედის თვალი. თუმცა, ერთმორწმუნე დასავლურ იმპერიას სულ სხვა გეგმები ჰქონდა...

ერთია, როდესაც ვაჟაკურად, ბრძოლით, თანაბარ პირობებში დაამარცხებ მეტოქეს და მეორე, როდესაც მალულად, ლაჩრულად მოკლავ მას. ბიზანტიამ მეორე გზა აირჩია. მართალია, მკვლევლობა მხოლოდ გუბაზზე გაბრაზებულმა ბიზანტიელმა სარდლებმა დაგეგმეს და იმპერატორი იუსტინიანე შეცდომაში შეიყვანეს, მაგრამ, საბოლოოდ, ეს ძალები გაერთიანდნენ გუბაზის წინააღმდეგ, რომელიც პირნათლად ასრულებდა მოკავშირეთა დავალებებს.

შეთქმულებმა გუბაზ მეფე მდინარე ხობისწყლის ნაპირას ჩაიყვანეს. უთხრეს, რომ ონოგურისის ციხე ერთად უნდა აედოთ. უიარაღო მეფე მცირე რაოდენობის თანმხლებ პირებთან ერთად დაენვია ბიზანტიელებს, მათ კი ეგრისის განმგებელი ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს. მეფემოკლული, შეურაცხყოფილი ეგრისელები, რომლებიც ალაღად ენდნენ ბიზანტიელებს, სამომავლო გეგმებზე სათათბიროდ შეიკრიბნენ.

ისტორიული დებატები

კოლხებს უმეფო, სუსხიანი ზამთარი დაუდგათ. ნუგეში არსაიდან სჩანდა. დემოკრატის დრო იყო... ხალხი ხეობაში შეიყარა ბიზანტიელებისგან მალულად. შეხვედრაზე უმთავრესი საკითხი წამოაყენეს: სპარსელების მხარეზე

გადასვლა თუ იმ ბიზანტიასთან დარჩენა, რომელმაც მათ მეფეს ლაჩრულად მოულო ბოლო.

ბიზანტიელმა ისტორიკოსმა ავათია სქოლასტიკოსმა აღნიშნული მოვლენის აღწერისას თქვა: „მრავალმა წარმოთქვა სიტყვა; ზოგი ერთ წინადადებას იძლეოდა, ზოგი კიდევ სხვას. იყო უთავბოლო ყვირილი“. ამ დროს ბრბოში გამოიჩინა აიეტი, წარჩინებულთაგან ერთ-ერთი. ავათია მის შესახებ აღნიშნავს, რომ აიეტი ბიზანტიელთა მოძულე ყოფილა. ამ დაძახულ სიტუაციაში, ულიდერო ბრბოზე აიეტმა დამაჯერებელი, ემოციური სიტყვებით იმოქმედა. აიეტს ასეთი არგუმენტები ჰქონდა თავისი პოზიციის სისწორის დასამტკიცებლად:

- კოლხთა ძველი დიდება გაქრა — თუ ბიზანტიელები ადრე კოლხებს ექვემდებარდებოდნენ, ახლა ზემოდან უყურებდნენ;
- ბიზანტიელები მრავალჯერ იყვნენ შემჩნეულნი კოლხთა წინააღმდეგ ბოროტებაში. რადგან მათ ვერაგულად მოკლეს გუბაზ მეფე, ახლა კოლხეთმა შური უნდა იძიოს;
- აიეტი კოლხთა კეთილისმსურველად სახავდა ირანს. ხალხს მოუწოდებდა, სწორედ მათ მიმხრობოდნენ და სპარსელებთან ერთად ეძიათ შური გუბაზის მოკვლისთვის.

შესაძლოა, უხეშ შედარებად მოგვეჩვენოს, მაგრამ აიეტის მსგავსად, გერმანელი დიქტატორი ადოლფ ჰიტლერიც თავის ემოციურ გამოსვლებში ხალხზე სწორედ პირველ მსოფლიო ომში დაკარგული გერმანული ძლიერებით მანიპულირებდა. „მსოფლიო ომი გერმანელების

გამარჯვებით რომ დამთავრებულიყო, ის უპირველესი სახელმწიფო გახდებოდა მსოფლიოში“, წერდა ფიურერი თავის ცნობილ წიგნში „ჩემი ბრძოლა“. დაკარგული დიდებით ხალხის მანიპულირება ლიდერებისთვის აპრობირებული მეთოდია.

ბიზანტიელების მიერ კოლხების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობები ისეთი სერიოზული პოლიტიკური ფაქტებია, აიეტს რომ ვერაფრით გავამტყუნებთ. გუბაზის ღალატით მოკვდინება, ცხადია, ეგრისის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული იყო, რაც აუცილებლად მოითხოვდა მეფის სისხლის აღებას. თუმცა, რა ფორმა უნდა ჰქონოდა კოლხების შურისძიებას? სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით „აფეთქებს“ თავის მთავარ „ბომბს“ აიეტი, როდესაც გამოსავალს ირანის მხარეზე გადასვლაში ხედავს და ამისკენ მოუწოდებს ეგრისელებს. თუმცა, ვფიქრობ, მას ერთი არსებითი ფაქტი დაავიწყდა — მეფე გუბაზის მოკვლა ბიზანტიელებამდე სწორედ სპარსელებმა სცადეს.

ირანის პოლიტიკური ღალატის გათვალისწინებით, ცხადია, არასწორი გზით მიჰყავდა აიეტს კოლხები, მაგრამ მისმა ლიდერულმა უნარმა და მჭევრმეტყველებამ აშკარად მოხიბლა ეგრისელები და შურისძიების ცეცხლით აანთო. „ასე ილაპარაკა აიეტმა და მთელი ხალხი აღატრთოვანა, სიხარულის ყვირილი მორთეს. მაშინვე აპირებდნენ სპარსეთის მიმხრობას“, წერდა აგათია სქოლასტიკოსი.

ამ ალტკინებულ ხალხში ერთი საღად მოაზროვნე ქართველიც გამოერია. ეს იყო კოლხი დიდებული ფარტაძე, რომელიც მიხვდა, რომ აიეტმა გამწარებული კოლხების გრძნობებზე ითამაშა. ფარტაძემ შურისძიების უნით

ანთებული, ეგზალტირებული მასის დამშვიდება გონივრული სიტყვით სცადა: „ნუ ავყვებით მსჯელობის დროს მონოლილ ბოლმას“. აიეტისეული შურისძიების იდეის საწინააღმდეგოდ, ფარტაძემ შემდეგი არგუმენტები მოიშველია:

- აიეტმა ხალხზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი მოხერხებულად შერჩეული, ეფექტური სიტყვებით. ფარტაძის აზრით, „იმას ვინც ყალბ რჩევა-დარიგებებს იძლევა, ესაჭიროება სიტყვების მოკაზმულობა და სიჭრელე“;
- აიეტი ადრეც იყო შემჩნეული ირანელთა მხარდაჭერაში;
- სპარსელების მხარეზე გადასვლა შეუძლებელი იყო ბიზანტიელების მიერ ეგრისში ჩაყენებული გარნიზონების გამო. ამასთან ერთად, მათ თავიანთი მოსახლეობა ჰყავდათ ჩასახლებული კოლხურ ქალაქებში;
- ბიზანტიელმა სარდლებმა იმპერატორი იუსტინიანე შეცდომაში შეიყვანეს. სწორედ ეს უნდა გამხდარიყო კოლხთა საყრდენი წერტილი, რომ, როგორც არქიმედე იტყოდა, „დედამინა დაეძრათ“.

„უძლეველი რამ არის მჭევრმეტყველება“, ამბობს ფარტაძე. მან სწორედ საკუთარი მჭევრმეტყველება დაუპირისპირა აიეტის მჭევრმეტყველებას და ამ ხერხით დაანახა შეცდომაში შეყვანილ კოლხებს საქმის რეალური ვითარება.

ეგრისელებმა იუსტინიანეს მეფე გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებული ვითარება აუხსნეს და იმპერატორს გააგებინეს, როგორ შეიყვანეს იგი შეცდომაში

მისივე სარდლებმა. იუსტინიანე მიხვდა, რომ რთულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი: ძმადნაფიცი კოლხი ხელმწიფის მოკვლის ბრძანების გაცემის გამო, იგი მოლაღატე იმპერატორი გამოდიოდა... კოლხებმა იუსტინიანე დაავალდებულეს, ქმედითი ნაბიჯი გადაედგა ლაფში ამოსვრილი სახელის გასანმენდად.

კოლხეთის ჯერი დამდგარიყო... ეგრისელებმა ჯერ მოლაღატე სტრატეგოსების დასჯა მოითხოვეს, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, შემდეგ კი წათეს [2] დამტკიცება ეგრისის ტახტზე. სახალხო კრებაზე გამართულ ცნობილ დებატებამდე, ეგრისში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ეგრისის 3-ათასკაციანმა ჯარმა ბიზანტიის 50-ათასკაციანი ლაშქარი დაამარცხა. ცხადია, ბრძოლის მიზეზი გუბაზის მკვლელობა გახდა. ეს იყო ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ეგრისი არ იყო იოლად ხელწამოსაკრავი სახელმწიფო. აღნიშნულ ბრძოლაში დამარცხებამ სწორედ ეს დაუდასტურა იუსტინიანეს. იმპერატორს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა: ჯერ წათე დაამტკიცა, შემდეგ კი ბიზანტიის სამეფო კარზე სახელგანთქმული და სანდო პიროვნება — ათანასე წარგზავნა კოლხეთში დანაშაულის გამოსაკვლევად. თუმცა, რალა გამოკვლევა უნდოდა? დანაშაული სახეზე იყო. სტრატეგოსები მათ მომხრეებთან ერთად დაისაჯნენ.

რატომ არ შეიძლებოდა სპარსეთის ნდობა

კოლხეთს ბევრი მიზეზი ჰქონდა, რათა ირანი არ ჰკონებოდა დიდი, მოძმე იმპერია. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო რელიგია. ცეცხლთაყვანისმცემლობა, რომელსაც მაშინ ირანი აღიარებდა, თავისთავში ერთდროულად მოიცავდა

ბოროტებასა და სიკეთეს. შესაბამისად, ირანელებს დაკანონებული ბოროტებით შეეძლოთ ქრისტიან ეგრისელთა წინააღმდეგ ემოქმედათ. საუკუნეების შემდეგ სხვა დამპყრობელზე დაწერილი იოანე საბანისძის თხზულებაში „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მონამისა ქრისტესისა ჰაბოჯისი“, ქრისტიანობა არა მხოლოდ რელიგიაა, არამედ — ერის ერთიანობის გასაღებიც. ირანის უხეში ჩარევა ისედაც დანაწევრებული საქართველოს პოლიტიკაში, უკვე შექმნილ წვრილ-წვრილ ქართულ სახელმწიფოებს საერთოდ გააქრობდა.

არსებობდა კიდევ ერთი რალაც უცნაური, რისთვისაც ახსნა ჯერ ვერ მომიძებნია, თუმცა დიდი ხანია, ვაკვირდები. დამპყრობლები ყოველთვის მარტივად ახერხებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს თავიანთ მარწუხებში მოქცევას, დასავლეთი კი შედარებით დაუმორჩილებელი რჩებოდათ. არ ვიცი, ეს დასავლეთ საქართველოს განსხვავებული კლიმატის შედეგი იყო (მომთაბარე დამპყრობლებს აღმოსავლეთ საქართველოს საძოვრად გამოსადეგი ვაკეები უფრო მოსწონდათ), კულტურული შეუთავსებლობისა თუ თვითონ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაუმორჩილებელი, თავისუფალი სულის მოუხელთებლობის. ფაქტია, ირანი ეგრისთან ვითარების გამწვავებას უფრო იოლად შეეშვა, ვიდრე სხვა ნებისმიერ სახელმწიფოსთან.

ეგრისს კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, რატომაც ირანის ნდობა არ შეიძლებდა. თუ იუსტინიანე გრძნობდა ეგრისის ძალას, თითქოს, ცოტა ეშინოდა კიდევ მისი და ურთიერთობის მოგვარებას ყველანაირად ცდილობდა, ირანი ყოველ ნაბიჯზე ღალატობდა კოლხების ქვეყანას. თავის

მოტყუება იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ გუბაზ მეფე ერთხელ მაინც რომ მიხდებოდა ირანს, შეიძლებოდა, მათგან სარგებელი მიეღო. ისტორიული ფაქტია, რომ მან ეს გააკეთა და პირველსავე ცდაზე, ირანელებმა მოსაკლავად გაიმეტეს.

VI საუკუნის რეალობაში, კოლხეთს ცუდსა და უარესს შორის უწევდა არჩევანის გაკეთება. ცხადია, ქვეყანამ არსებული ორი ვარიანტიდან „ცუდი“ აირჩია და მასზე მანიპულირებაც სცადა. კოლხეთი, თითქოს, შეფარვით ეუბნებოდა ბიზანტიელებს: თუ თქვენი 50-ათასიანი არმიის დამარცხება მხოლოდ 3-ათასი მეომრით მოვახერხეთ, თავისუფლად შევძლებთ წინააღმდეგობა კიდევ გაგინიოთ და თქვენი ბორკილებისგან თავი დავიხსნათ; მაგრამ ეს აღარც იყო ბორკილები, რადგან ბიზანტიას ეგრისის მიმართ შიში გაუჩნდა.

თანამედროვე დებატები

აგათია სქოლასტიკოსს ეგრისელთა დებატები დეტალურად აქვს აღწერილი. ცხადია, მათი მთლიანად განხილვა ძალიან დიდ დროს საჭიროებს, რადგან ისტორიული ნარკვევის ქვეთავი — „ლაზების თათბირი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, აიეტისა და ფარტაძის სიტყვები“, საკმაოდ ვრცელია. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს უმთავრესი ღირსება VI საუკუნის ქართულ დებატებთან დაკავშირებით: თუ როგორ დახვეწილად დებატობდნენ ფარტაძე და აიეტი. ყოველგვარი უარგუმენტო შეურაცხყოფის, ოპონენტზე თავდასხმისა და ხელით შეხების გარეშე. ნათლად ჩანს, რომ ფარტაძე დიდ პატივს სცემს აიეტს. ადამიანისთვის მჭევრმეტყველის წოდება

ხომ არ არის სალანძღავი სიტყვა? დღეს სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია. მაშინ VI საუკუნე იყო, დღეს XXI საუკუნეა. თანამედროვე ადამიანს რამდენჯერ უხილავს ტელეეთერიში ოპონენტთა უშვერი სიტყვებით დისკრედიტაცია და, ყველაზე უარესი, ხელით შეხებაც კი. თითქოს, მივეჩვიეთ კიდევ... ნუთუ, გვეკადრება, ასეთი ღირსეული ოპონირების ტრადიციის მქონე ქვეყნის შვილებს ერთმანეთისადმი ისეთი უკადრისი მოქცევა, რასაც დღესა აქვს ადგილი?

ეგრისული „ამბავი ერთი შურისგებისა“ თანამედროვე ქართველებს გვასწავლის იმას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ VI საუკუნეში არსებობდნენ ისეთი მოღებატეები, რომლებიც ერთმანეთს პატივს სცემდნენ და ისე გამოხატავდნენ საკუთარ განსხვავებულ პოზიციას. აიეტისა და ფარტაძის ამბავი ნათლად გვიჩვენებს, რომ ღებატეები ყოველთვის სჯობს უმისამართო ქაოსს, რომელიც კოლხთა შორის ღებატების დაწყებამდე იყო გამეფებული. სწორედ ღებატებმა მიიყვანა ეგრისელები სწორ გადანწყვეტილებამდე. რომ არა იმ ძველი ეგრისელების ეს გადანწყვეტილება, იქნებ, საქართველოს უძველესი ნაწილი, კოლხეთი, დღეს სულ სხვა, ძალიან ცუდი სახით, ყოფილიყო წარმოდგენილი...

შენიშვნები:

1. რიუნოსკე აკუტაგავას ნოველის სახელწოდება „ამბავი ერთი შურისგებისა“.
2. ნათესთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგი ფიქრობს, რომ ის გუბაზის ძმა იყო, ზოგი კი მის შვილად მიიჩნევს.

ცოტნე ტალახაძე

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

მადლობა სამოსელისთვის...

გოგონა დიდხანს იდგა ძვირფასი მწერლის საფლავთან კაქტუსით ხელში და, თითქოს, სასწაულს ელოდა: „...და უცებ სულში გამეფურჩქნა უცნაური მცენარე, სიყვარულის კაქტუსი — ეკლიანი და ეკლებიანი, ოღონდ საოცრად ტკბილი იყო მისი ყოველი ჩხვლეტა და აი, ახლაც, თქვენ რომ გიყურებთ, ახლა მჩხვლეტს და, რომ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ...“

გურამ დოჩანაშვილი — ქართველი კლასიკოსი მწერალი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მთავარი თემებია სიყვარული, სიკეთე, შეუპოვარი ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ და თავისუფლებისკენ სწრაფვა. მისი შემოქმედება ყოველთვის გვახსენებს, გვიყვარდეს ერთურთი. მის შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა მისი განცდა და მიმართება მკითხველისადმი და, ზოგადად, ადამიანებისადმი. ისე ლამაზად გვეტყოდა სათქმელს, ეს ნათქვამი ჩვენი ცხოვრების მთავარ დევიზად უნდა გადაქცეულიყო და, ხშირად, ასეც ხდებოდა. ის იყო პიროვნება, რომელშიც სიყვარულის, სულიერი სინწინდის, პატიოსნებისა და პატრიოტიზმის გამოხატულება მკაფიოდ იყო შერწყმული და დიდ გამოძახილს ჰპოვებდა მკითხველის სულსა და გულში.

ბატონი გურამის მოთხოვნის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ერთ-ერთი მომენტი მიყვარს ყველაზე მეტად: ისმის კითხვა მისი პერსონაჟისადმი, თუ რატომ მოსწონს მას დიდუბეებიანი ტანსაცმელი? პასუხი მარტივია: მხოლოდ იმიტომ, რომ მასში წიგნი ეტევა. ის წიგნიც და ტანსაცმელიც კი მისთვის ყველაზე და ყველაფერზე ფასეული იყო.

გურამ დოჩანაშვილი იყო პიროვნება, რომელსაც შეეძლო ყველაზე უხეშ, ეკლიან და შეუხედავ სინამდვილეშიც კი სიყვარული დაენახა და ეს სიყვარული მიეტანა მკითხველამდე. ეს იყო პიროვნება, რომელიც ყველაზე წრფელი და ნამდვილი გრძობით ამყარებდა კავშირს მკითხველთან. პიროვნება, რომელიც ეკლიანი კაქტუსის ყოველ ჩხვლეტას ტკბილად აღიქვამდა საკუთარი ხალხისა და მსმენელის სიყვარულით.

დღეს ადამიანებს სიყვარული უფრო აკლიათ, ვიდრე პური და ეს ყველაზე ძლიერი შიმშილიაო,¹ უთქვამს დედა ტერეზას. ვფიქრობ, სწორედ ამ დანაკლისის შევსებას ემსახურებოდა გურამ დოჩანაშვილის მრავალწლიანი შემოქმედება. მისი უდიდესი შემოქმედების „ლოდებს შორის“ კი ყოველთვის ხარობდა ყვავილი სიყვარულისა. ბატონი გურამის სახელი დარჩება სამარადისოდ, ვიდრე თუნდაც ერთი წიგნი და ერთი ჭეშმარიტი მკითხველი იარსებებს დედამიწის ზურგზე... მაღლობა გურამ დოჩანაშვილს სამოსელისთვის, რომელიც თაობებს შემოსავს!

¹ The hunger for love is much more difficult to remove than the hunger for bread. – Mother Teresa quote.

მეგი გვილავა

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
საჯარო მმართველობისა და
პოლიტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი — პროფ. მერი ლომია

ჩვენი ენა ქართული

„ენას ისე უნდა ვულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს, ენა არის დედაბოძი საქართველოს ერთიანობისა, მთლიანობისა და თუ ეს დედაბოძი გამოვაცალეთ... ჭერი ჩამოგვენგრევა, სახლს ქვეშ მოიტანს და ჩვენი მშობელი ქვეყანა, ჩვენი საქართველო განადგურდება...“

ენის განვითარების შესახებ ილია ჭავჭავაძისა მოსაზრებები დაედო საფუძვლად ჩემს ნაშრომს: რანი ვართ, საიდან მოვდივართ და როგორი ენა გვაქვს დღეს.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ერთიანი სალიტერატურო ენისათვის ბრძოლაში ბევრი საჭირობოროტო საკითხი წამოჭრილა, მსჯელობასა და ცხარე კამათში გამობრძმედილა და ჩვენამდე რჩევად, წესად, ნორმად დაბრუნებულა. მივყვეთ ქართული ენის დიდი მოამაგის — ილია ჭავჭავაძის რჩევებს:

რჩევა 1: „ტერმინოლოგიის უქონლობა აფერხებს ჩვენს ერს, ლექსიკური მარაგის გამდიდრება კი წინ სწევს გონებრივად. რაც უფრო ნაკლებ განათლებულია ხალხი, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს ენაში. ახალი სიტყვა ნიშნავს ენის

გამდიდრებას, აზრის შემატებას, გონების გაფართოებას, ფეხის წინ წაღვმას“.

ჯერ კიდევ ძველ ქართულ მწიგნობრულ წრეებში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი ტერმინები, რომლებიც დღეს ქართული ენის ძირითადი ლექსიკის შემადგენელი ნაწილია. XIX საუკუნიდან კი ილია ჭავჭავაძისა და მის თანამედროვეთა მიერ თითოეულ სიტყვაზე ფიქრი, მსჯელობა, გამალებული ტერმინთშემოქმედება, ლამეების თენება მხოლოდ ერთ რამეს – ქართული ენის აღორძინებას ემსახურებოდა.

ბევრი ტერმინი, რომელსაც დღეს ვიყენებთ, არც კი ვიცით ქართულ ენაში როდიდან და ვის მიერაა დამკვიდრებული. ამავე დროს, მათი ნაწილის ავტორთა ვინაობა დაზუსტებულია.

ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი ტერმინებია: მიმართულება, ღირებულება, სინამდვილე, უარყოფა, უფლება, შინაარსი;

ნიკო ნიკოლაძის: ლიანდაგი, ორთქმავალი;

ალექსანდრე ჯანელიძის: ასანთი;

ნიკო მუსხელიშვილის: განტოლება;

დიმიტრი უზნაძის: აღქმა, განწყობა;

ვეკოლ ბერიძის: განაშენიანება, მივლინება, შვებულება,

საშვი.

ტერმინზე მუშაობას ქვის კოდვა სჯობსო, უთქვამს ვეკოლ ბერიძეს, მაგრამ მას ესმოდა სიტყვათწარმოქმნის დიდი ეროვნული მნიშვნელობა და ამისათვის თავდაუზოგავად იღწვოდა.

ახალ ტერმინს ადვილად არ იღებდა საზოგადოება და ესეც სირთულეს წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით ანეკდოტივით დადიოდა ერთი ამბავი: ქუჩაში ვეკოლ ბერიძემ ჩაიარა, ნაცნობმა, რომელიც მას მიესალმა, თავის თანმხლებს უთხრა: ამისი მოგონილია სიტყვა „შვებულებაო“. იმას კი უპასუხ-

ია: მაგას რომ „შვებულება“ არ გამოეგონა, „ოტპუსკში“ ვერ წავიდოდი, თუ რაო?“

მიუხედავად საზოგადოების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულებისა, ქართული ენის მოამაგენი ილია ჭავჭავაძესთან ერთად უშურველად იღწვოდნენ ენის გაკეთილშობილებისა და მისი ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის. მათ მიერ შექმნილ ტერმინებთან ერთად არსებობდა ხელოვნურად შექმნილი ტერმინები:

- დენი ხელოვნურად შექმნილი ტერმინია და მომდინარეობს სიტყვისაგან „მდენი“ (ის, რაც მოედინება);
- წნევაც ხელოვნურად შექმნილა სიტყვა „საწნეხელიდან“, ამ სიტყვის ფუძიდან „წნე“ შექმნეს ახალი ტერმინი;
- ლელო ღღეს იმ ადგილს ეწოდება, სადაც ბურთი უნდა დაამინო. 1989 წლამდე მას, რუსულის ანალოგიით, „ჩათვლის მოედანი“ ეწოდებოდა. ლელო ჩვენზე ეროვნული საგანძურიდან — ლელობურთისაგან მიღებული ტერმინია.

* * *

რჩევა 2: „საერთაშორისო სიტყვები უნდა მიიღოს ენამ. ეს სიტყვები ყველა ხალხს მიუღია როგორც ღვიძლი სიტყვები და იყენებს მას. არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმართ. კიდევ რომ ავარიდოთ თავი, მაინც შემოგვეპარებიან. ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“.

ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონდა კულტურულ-ეკონომიკური კავშირი. ეთნოკულტურული კონტაქტები აღიბეჭდა ენის სტრუქტურაში, განსაკუთრებით, ლექსიკაში. ისტორიული კავშირი ბერძნულ,

არაბულ, სპარსულ, თურქულ და რუსულ ენებთან აისახა ქართულ ენაში, რაც მრავალფეროვანი უცხოური ტერმინოლოგიით დასტურდება.

ბერძნული ენიდან ქართულში არაერთი საეკლესიო და საერთაშორისო ტერმინი შემოვიდა: აიაზმა, ანგელოსი, დიაკვანი, ეკლესია, მონასტერი, პარაკლისი, კანონი, მუსიკა, ისტორია, ფილოსოფია, მათემატიკა, თეატრი, კალამი, ბარბაროსი, კრიალოსანი და სხვ.

„კრიალოსანი“ მომდინარეობს ბერძნული გამოთქმიდან: კირიე-ელეისონ (უფალო შეგვიწყალე). რადგან მლოცველები „უფალო შეგვიწყალეს“ რამდენჯერმე იმეორებდნენ, რომ არ შემლოდათ, ხელში ეჭირათ ასხმული მძივები და ამ ფრაზის ყოველი წარმოთქმის შემდეგ თითო მარცვალს ჩააგდებდნენ ხოლმე. როცა მძივის მწკრივი გათავდებოდა, ლოცვაც დასრულდებოდა. სალოცავად ასხმულ მძივს ეწოდა კრიალოსანი, კირიე-ელეისონის სახეცვლილი სიტყვა.

ირანული მოდგმის ხალხებთან ურთიერთობის შედეგადაც არაერთი სიტყვა შემოვიდა და ორგანულად შეერწყა ქართულ ენას: ამხანავი, ანდერძი, ბოსტანი, ბრძენი, სპეტაკი, კაბა, ნოხი, თამბაქო, ზეიმი, ხაზინა, ჯილდო, ჯამი, ჩანგალი, შარა, ქარხანა, ქაჯი, იასამანი, კოშკი, ლაშქარი და მრავალი სხვა. სიტყვა „ფანჯარა“ სწორედ სპარსულ ენასთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად შექმნილი სიტყვაა, რომელიც ქართულში XVIII საუკუნეში გამოჩნდა. მანამდე ქართულ ენაში გამოიყენებოდა სიტყვა „საკუმელი“ ანუ „სარკმელი“, რომელიც მომდინარეობდა ზმნიდან „კუმევა“ (ბოლის ამოსვლა). დღეს სიტყვა სარკმელი დიალექტებშია დაცული, ხოლო სალიტერატურო ენაში მისი ადგილი დაიკავა ფანჯარამ.

ქართულ ენაში განსაკუთრებით ბევრია არაბული წარმოშობის სიტყვები: ალამი, ალათი, მანძილი, მანდილი, სიგელი, თათბირი, ექიმი, ვეზირი, თასი, ნობათი, ნუსხა, საათი, სურათი, უჯრა, ფარდა, ოქმი, რუკა, ფიქრი, ღალატი, შარვალი, ჭავრი, ჯილაგი და სხვ.

თურქული ლექსიკური ერთეულებია: ოთახი, ყაჩაღი, ყავარი, ჩოხა, ბათქაში, ბაიყუში, ყოჩი, ფარა და სხვ. თურქულ ენათა ოჯახს მიეკუთვნება ამერბაიჯანული და ამ ენიდან ქართულში, ძირითადად, მეცხოველეობასთან დაკავშირებული ტერმინები დასტურდება.

რუსულ ენასთან ინტენსიური ურთიერთობა XIX საუკუნიდან დაიწყო, რის შედეგადაც დღეს ქართულში არაერთი რუსული ტერმინია დამკვიდრებული.

* * *

რჩევა 3: „უნდა ვებრძლოთ უცხო სიტყვების მოზღვავენას ენაში. უცხო სიტყვის შემოტანა არ უნდა დავეუშვათ იმ შემთხვევაში, როცა ქართულს მოეპოვება ბადალი სიტყვა ან გამოთქმა. ბარბარიზმებით არ უნდა დავანაგვიანოთ ენა“.

უცხო სიტყვათა ზომიერმა შემოსვლამ, შეიძლება, გაამდიდროს ენა. თუმცა, არცთუ იშვიათად, აუცილებლობის გარეშე დამკვიდრებული ნასესხობები — ბარბარიზმები ამძიმებს და აღარბებს ენას.

„შენაყარი სიტყვები ჰქვია სიტყვებს, რომელნიც ყოველი საჭიროების გარეშე შემოაქვთ ვილაყ-ვილაყებს უგუნურობის გამო... მოღური სიტყვებიც იგივე ბარბარიზმია, მაგრამ დასახიჩრებული... ასეთი სიტყვებით საუბრის აჭრელება დიდი უზრდელობა და შეურაცხყოფაა გამგონისა. ამით ორი ენა მახინჯდება: იგიც, საიდანაც შეუთრევიათ და იგიცა, სადაც

შეუთრევიათ“, წერდა XIX საუკუნის შერყვნილი ენით შეწუხებული ქართველი მეცნიერი კვიციარიძე.

დღეს განსხვავებული სირთულის წინაშე დგას ქართული ენა. XXI საუკუნის დასაწყისის ქართულში ინტენსიურად, ხშირად, გაუმართლებლად შემოდის ინგლისური ტერმინები და გამოთქმები: დიჯეი, თინეიჯერი, კურსორი, მარკეტინგი, მესიჯი, ტრენინგი და სხვ. ლათინური სიტყვა „სიტუაცია“ თანდათან აქრობს რამდენიმე ქართულ სიტყვას: ვითარება, მდგომარეობა, გარემოება. „საქმის“ მაგივრად დღეს „ქეისს“ იყენებენ.

ადრე თუ რუსული ტერმინის თარგმნა აუცილებელი იყო, ქართული საზოგადოების უმრავლესობას ინგლისური ნასესხობების საწინააღმდეგო არაფერი აქვს. უცხო სიტყვები საქართველოში დღეს, როგორც იტყვიან, „მოდაშია“ და რაც ყველაზე საშიშია, ბევრისთვის ეს განათლებულობის განმსაზღვრელია. ჩვენ ჯერ კიდევ გვახსოვს, რომ სოციუმი საზოგადოებაა, კოგნიტური — შემეცნებითია, იდენტობა — თავისთავადობა, იგივეობაა და ა.შ. თუმცა, მომავალი თაობებისათვის მრავალი ქართული სიტყვა არქაულ, მოძველებულ ლექსიკად გადაიქცევა.

მე, როგორც საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მიმართულების სტუდენტს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, არსებობდეს ენის განვითარების მწყობრი პოლიტიკა, რათა სხვადასხვა ჯგუფისა და არაკეთილმოსურნეთა ინტერესები არ გახდეს მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მისი აღსრულებისას.

ცალკე საკითხად გამოვყოფ საინფორმაციო ტექნოლოგიების როლს ენის განვითარებაში. კომპიუტერული ლექსიკის გაქართულების მიუხედავად, ამ სფეროს ინგლისური ტერმინოლოგია კვლავ უპირობოდ იკავებს ადგილს ქართულ

სინამდვილეში. ელექტრონული დოკუმენტბრუნვაც საქმისწარმოების ახალ ფორმებსა და ტექსტისადმი სხვაგვარ დამოკიდებულებას აწვდის, რაც ასევე გასათვალისწინებელია. უცხოური ენობრივი სტანდარტების ქართულში მექანიკურად გადმოტანა აზიანებს ჩვენი ენის უნარს, შემოქმედებითად მიუდგეს საქმისწარმოების ენის განვითარებას და ასე დაიცვას თავი კალკებისგან. ქართული სწორმეტყველების პოზიციიდანაც, უცხოური სტანდარტის მექანიკური გადმოღება საქმისწარმოების ენას ენათმეცნიერთა რეკომენდაციის გარეშე ტოვებს. ორი სხვადასხვა ენა არასოდესაა იმდენად მსგავსი, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიჩნევა ერთი და იმავე სოციალური რეალობის ასახვის საშუალებად.

სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ეფექტურობა თვალსაჩინო გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი იქნება იმ პროცესების კონტროლი და რეგულირება, რომლებიც ქვეყნის ახალმა სახელმწიფოებრივმა ვითარებამ, ახალმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და საინფორმაციო ურთიერთობებმა წარმოქმნა ენის განვითარების სფეროში. როცა მოხერხდება საკანონმდებლო მექანიზმების ამოქმედება და იმ სტრუქტურების მიზანმიმართული, კოორდინირებული ამუშავება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ უახლესი ტერმინოლოგიის, სპეციალური ენების მომზადება-დამუშავება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყოველ ცალკეულ უბანზე.

სალომე სვანიძე

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,

თინათინ ლობჯანიძე

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“

„მხოლოდ დედა ენაზე შეიძლება ილოცოს ადამიანი
გულმხურვალედ. სხვა ენა აქ უძლურია. მხოლოდ დედა ენა
არის ენა სულისა და გულისა. ყველა უცხო ენანი არიან ენანი
მეხსიერებისა“.

ღარიბი მღვდლის ოჯახში დაბადებულმა ბიჭმა ჯერ
გორის, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სასწავლებელი
დაამთავრა. 1855 წელს იაკობ გოგებაშვილი თბილისის
სასულიერო სემინარიაში შევიდა, 1861 წელს კი — კიევის
სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. მოგვიანებით,
მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მეფის რუსეთის სინოდისა
და ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს,
როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, თანამდებობიდან
მოხსნეს. ამის შემდეგ გოგებაშვილს სახელმწიფო სამსახურში
ალარ უმუშავია.

რა ღვაწლი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს ერისა და ქვეყნის წინაშე?

ის, უპირველესად, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელია საქართველოში, დაუღალავი მებრძოლი სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისთვის.

მისმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა — „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „ბუნების კარი“ და „დედაენა“ დიდი როლი შეასრულა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში.

გასაოცარი კეთილშობილებითა და პიროვნული ღირსების განცდით იყო განმსჭვალული იაკობ გოგებაშვილის მთელი ცხოვრება. იგი მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, სისტემატურად უგზავნიდა ფულს რუსეთისა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტებს, ასევე, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეებს.

1876 წელს პირველად დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენა“, რომელმაც დაამკვიდრა წერისა და კითხვის ერთად სწავლება — ეს იყო უდიდესი მიღწევა და გამარჯვება ერისა და ქვეყნის წინაშე. ღღესაც, ამ ეროვნული მნიშვნელობის მოვლენიდან საუკუნუნახევრის შემდეგ, იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ სამაგიდო წიგნად რჩება თავისი უნიკალური პრინციპით, მარტივით, სადა ენით, გასაოცარი უბრალოებით, ქრისტიანული სულისკვეთებით. 2007 წელს

ხელმეორედ დაისტამბა „დედაენის“ 1900 წლის გამოცემა, შესრულებული უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე.

ეს ჩემი სამაგიდო წიგნია!

დედის რძესავით, იაფნანასავით შვირგო და გაითავისა ქართველმა ერმა „აი ია“. მრავალი თაობა აღიზარდა წერა-კითხვის სწავლების ამ გენიალურად მარტივ და, ამავდროულად, ეფექტურ სისტემაზე. ესაა სრულიად უნიკალური და შეუფასებელი შემთხვევა ერის კულტურულ ცხოვრებაში. ქართველი ადამიანის ცნობიერება, მისი მენტალობა, ლამის, ორი საუკუნეა, „დედაენით“ იწყება და ყალიბდება. სამყარო „აი იათი“ შემოდის ჩვენს აღქმაში.

14 აპრილს საქართველოში დედაენის დღე აღინიშნება. ეს თარიღი 1978 წლის მოვლენების აღსანიშნავად დაწესდა 1990 წელს.

1978 წელს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოკავშირე რესპუბლიკებში ადგილობრივი ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი გაეუქმებინა და სსრკ-ის სახელმწიფო ენად მხოლოდ რუსული ენა დაეტოვებინა. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული.

ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას წინ აღუდგა მთელი საქართველო. თბილისში მოეწყო მასშტაბური გამოსვლები

და მსვლელობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უმაღლესი საბჭოს შენობისკენ. ვითარება ხელისუფლებისთვის უმართავი ხდებოდა. საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე ხალხთან გამოვიდა უმაღლესი საბჭოს შენობის წინ, ვითარების განსამუხტად და მოქალაქეების დასამოშმინებლად.

ეს იყო ქართველი ხალხის დიდი გონიერების, ერთსულოვნების მაგალითი, რამაც, საბოლოო ჯამში, დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანა ათიოდე წელიწადში. მსგავსი ეროვნული სულისკვეთება მას შემდეგ აღარც გვინახავს, რადგან ის აქცია სრულიად მოკლებული იყო პოლიტიკურ ამბიციებსა და ძალაუფლებისთვის ბრძოლას. ეს იყო საქართველოს გულანთებული, პატრიოტი მოქალაქეების შეკრება, თავიანთ ეროვნულ უფლებას რომ იცავდნენ და სამშობლოს ინტერესს გამოხატავდნენ.

გიორგი ბალიშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

უცხო ქუჩაზე, საკუთარი ქედით

მინც რა აქცევს ადამიანს, ადამიანად?

ძალიან ბევრი აზრი მომდის, როცა ეს კითხვა მესმის. თუმცა, არის თუ არა რომელიმე მათგან სწორი, ამაზე პასუხი არ ვიცი. ძნელია, შეინარჩუნო თავისუფალი ნება და სული გარემოში, რომელიც შენთვის უცხოა. რა ჯობია საკუთარ სახლს, თბილ კერას, რომელიც მუდამ გელოდება ისე, როგორც ადრე და მომავალშიც ისე დაგელოდება, როგორც ადრე. გარემო სადაც დაიბადე, გაიზარდე, სადაც ბუნებაც სხვანირია და მზეც სხვანირად ამოდის. ვერაფერი შეგიცვლის იმ ადგილს, რომელსაც შენი სახლი ჰქვია...

მინდა ვისაუბრო პროზაიკოს, მწერალ და საზოგადო მოღვაწე ლევან გოთუაზე, რომელსაც ძალიან მძიმე განაჩენი ხვდა წილად. განაჩენი, რომელსაც მხოლოდ ერთეულები უძლებენ — ადამიანები, რომლებიც გმირებად არიან დაბადებულები.

პირველად 20 წლის ასაკში გადაასახლეს. მისი ეს განაჩენი ერთი წელი გაგრძელდა. თუმცა, აკრძალული ჰქონდა დედაქალაქში დაბრუნება. ამიტომ მოუწია

ვლადიკავკაზში ცხოვრება და პედაგოგად მუშაობის დაწყება. როდესაც გადასახლების ვადა გაუხანგრძლივს, ამან მასში პროტესტის გრძნობა გამოიწვია და ამის ნიშნად, ბანაკიდან გაიპარა. მალევე დააკავეს და სამი წლით საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს.

გადასახლებიდან დაბრუნებულს, დედაქალაქში ცხოვრება აუკრძალეს, რის გამოც იგი წალკაში დასახლდა და ეკონომისტად დაიწყო მუშაობა. სწორედ აქ შექმნა მან პირველი პიესა „ჩაძირული ქალაქი“. სათაურიდან გამომდინარე, იოლი მისახვედრია, თუ როგორი წნეხის ქვეშ იყო იმ დროისთვის საქართველო.

ლევან გოთუამ 22 წელი გაატარა გადასახლებასა და დევნაში. თუმცა, მისი ზნეობრივად შეცვლა მაინც ვერ მოახერხეს. ადამიანი, რომელმაც ამდენს გაუძლო, თავისი ღირებულებები და წეს-ჩვეულებები შეინარჩუნა, სწორედ ასეთი ადამიანი ასოცირდება ჩემთვის სულიერ თავისუფლებასთან. ძნელია ხელოვანს წაართვა თავისუფალი ნება, რომლითაც ის საზრდოობს და ქმნის იმას, რასაც შემდეგში ხელოვნების ნიმუშად ეცნობიან. მე, როგორც დამწყები არტისტი, ყველაზე თავისუფალი ჩემს ჩაკეტილ ოთახში ვარ, სადაც იმაზე მეტ თავისუფლებას ვპოვებ, ვიდრე სხვა ყველა გარეთ. სათაურიც სწორედ ისეთ ადამიანებს შევესაბამე, რომლებსაც ყველგან „თავისი ქუდი ახურავთ“.

ცირა გვასალია

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

მშობლიური ენის დაცვის თავდადება

მშობლიური ენის დაცვა თითოეული ქართველის ვალია. ჩვენ, ქართველებს არაერთხელ დაგვდგომია უამი, როცა უნდა დაგვეცვა საკუთარი ენის სინამდისე. ეს იგივეა, ისევე შენს ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას.

კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „მშობლიური ენის სინამდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსა“. ამის მკაფიო მაგალითი კი 1978 წლის 14 აპრილია. დღე, როდესაც ქართველი ერი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადანყვეტილებას საქართველოში ქართული ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების შესახებ. მრავალათასიანი საპროტესტო მსვლელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირამდე მიემართებოდა. სტუდენტი თუ სკოლის მოსწავლე, ზრდასრული მოსახლეობა, აქციის თითოეული მონაწილე გამოხატავდა პროტესტს.

ყველა მტერი მუდმივად ცდილობდა გაენადგურებინა ჩვენი ენა, გვირბევდა მამულს და გვართმევდა სარწმუნოებას.

ცდილობდა, დაგვევიწყებინა ჩვენი თვითმყოფადობა. თუმცა, უშედეგოდ.

14 აპრილს 1978 წლისა, საბჭოთა მთავრობას უნდა მიეღო გადანაცვეტილება...

გუგუნებდა რუსთაველის პროსპექტი. ერთ მუშტად შეკრული საქართველო მოსკოვის გადანაცვეტილებას ელოდა...

საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი, ედუარდ შვეარდნაძე დემონსტრანტების გვერდით დადგა... მოგვიანებით მან როგორღაც შეძლო დაერწმუნებინა საკავშირო ხელისუფლება, რომ ქართველები არ დათმობდნენ, სიცოცხლის ფასად დაიცავდნენ თავიანთ საგანძურს, მშობლიურ ენას და ამას საბჭოეთისთვის ძალზე არასასურველი რეზონანსი მოყვებოდა უცხოეთიდან...

მძიმე და მტანჯველი, მღელვარე მოლოდინის დასასრულს, პირმოთნე დამპყრობელმა სიფრთხილე გამოიჩინა და გადანაცვეტილება მიიღო: ქართველ საზოგადოებას აუწყეს, რომ ქართული ენა რჩება რესპუბლიკის სახელმწიფო ენად. პირველად მოხდა საბჭოთა კავშირის ისტორიაში, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია და საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენა ჩაინერა სახელმწიფო ენად.

მოგვიანებით, 14 აპრილი ქართული ენის, დედაენის დღედ გამოცხადდა.

ვფიქრობ, ეს ის უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს ისტორიაში, რომლითაც ჩვენ, ქართველმა ერმა უნდა ვიამაყოთ: ჩვენი ერთობით, უდიდესი

თანადგომითა და იმ პატივისცემით, რასაც მშობლიური ენის პატივისცემა ჰქვია, მოპოვებული გამარჯვება იმ დიდი სიყვარულის შედეგია, რაც ოდითგან მოჰყვება ქართველობას საკუთარი ენის მიმართ: ჩვენ ხომ მშობლიურ ენას „დედა ენას“ ვუწოდებთ. იგი თითოეული ჩვენგანისათვის დედასავით ძვირფასი, ერთადერთი და განუმეორებელ-შეუცვლელია. ირაკლი აბაშიძე თავის შესანიშნავ ლექსში „ხმა კატამონთან“ ენას იმ ერთადერთ საუნჯეს უწოდებს, რომელსაც ვერასდროს დათმობს და შეელევა:

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,

შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ...“

ენის გარეშე არ არსებობს ერი. ენა მალამოა, რომელსაც შეუძლია ერის წყლული განკურნოს. ჩვენს მშობლიურ ენას უდიდესი გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. ენას, რომელიც „ჩვენი სუნთქვის დიდი ალამი და ჭირთა ჩვენთა ტკბილი მალამოა“. ენას, რომელმაც თავისი სათქმელი „ვეფხისტყაოსნითა“ და „დავითიანით“ თქვა, პოეტი-აკადემიკოსი ასე მიმართავს:

„ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო,

ხან — ფუნჯო, ჩემო, ხან — საჭრეთელო,

შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის...

იბერის ენავ, ენავ თამარის...“

შემიძლია დაუსრულებლად ვისაუბრო ისეთ თემაზე, როგორცაა მშობლიური ენა; პარალელი გავავლო სხვა ნაწარმოებებთან. მახსენდება ჩვენი დიდებული რომანტიკოსის, გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „რა ენა

წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“. ეს სიტყვები შეუძლებელია, ოდესმე დაგვაზინყდეს.

იშვიათია ქართველი კლასიკოსი, მშობლიურ ენაზე რომ არ ჰქონდეს ნაფიქრ-დანერვილი. მშობლიური ენით აღფრთოვანებული ლაღო ასათიანი შეგვახსენებს ქართული ენის დიდებას, მის სილამაზეს და, ამავედროულად, მასზე ზრუნვის განცდასაც გვიღვიძებს:

„საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“

პოეტისთვის ენა არის ღვთის მიერ ნაბოძები საჩუქარი. ქართულ ენაზე დაინერა მსოფლიო შედეგრი „ვეფხისტყაოსანი“ — მეგობრობის, სიყვარულის, რწმენის, ერთგულების ძალიან დიდი წიგნი. ზუსტად ამიტომ ამბობს ლაღო ასათიანი, რომ ქართული ენა, ეს არის „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენა!“. ქართველი ღვიძილშიც და ძილშიც ფიქრობს, თუ როგორ უპატრონოს, როგორ გადაარჩინოს ის. „როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ და სიზმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან“. ქართული ენა არის „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“.

მუხრან მაჭავარიანის თქმით, ქართული მხოლოდ ენა არ არის; ქართული ენა თითოეული ქართველის რწმენა, ღმერთი და ბედისწერაა! ზუსტად იმხელაა ენა, რამხელაც ზღვა. შეუძლებელია ენის გარეშე იარსებოს ერმა:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!

ზღვა როა!

იმოდენაა!“

კიდევ ერთი ქართველი პოეტი, იოსებ ნონეშვილი წერს: „თუ დაივინცე ენა ქართული, მაშ, საქართველო დაგვინცება“. კლასიკოსის სიტყვები ნამდვილად შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ენის დავინცება სამშობლოს დავინცების ტოლფასია.

უხერხულია ენის მნიშვნელობაზე ვწერდეთ და არ ვახსენოთ ილიას სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მინასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“.

თუ თითოეული ქართველი დავიცავთ ჩვენი ენის სინმინდეს, მაშინ ენასაც შევინარჩუნებთ და ილიას ანდერძსაც ვუერთგულვებთ. ენა არის უმთავრესი. ადამიანი რომ ჩამოყალიბდეს პიროვნებად, მან, რა თქმა უნდა, სრულფასოვნად უნდა იცოდეს მშობლიური ენა.

ენა უკვდავია და ის აუცილებლად გადარჩება, აუცილებლად იარსებებს, თუ ერი ისე იზრუნებს მასზე, როგორც ჩვენი დიდი და საამაყო წინაპრები ზრუნავდნენ.

გადარჩება და იარსებებს, რაც უნდა დიდი დრო გავიდეს.

ლიზი ჩიმჩიური

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშუაშვილი

ჩემი „ვეფხისტყაოსანი“

„რუსთაველი „ვეფხისტყაოსნით“ გუშინ იღვა ჩვენი წინაპრების გვერდით — მათს მწუხარებას ანახევრებდა და სიხარულს აორკვეცებდა. დღეს დგას ჩვენი თაობის მონინავე რიგებში — შრომასა და ბრძოლაში გვეხმარება. ხვალ იქნება ამ თაობის შთამომავალთ შორის, როგორც მათი სიკეთის ერთი წინამორბედი“ (ნ. კანდელაკი). „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარი შეფასება ჩემში უფრო მეტად ამძაფრებს იმ გრძნობას, რომელსაც ქართული ენის სიყვარული ჰქვია. საამაყოა, როდესაც ამგვარი პოემა შენს ენაზეა დაწერილი; როდესაც მხოლოდ შენ გაიაზრებ და შეიგრძნობ ისე, როგორც ვერასდროს შეიგრძნობენ „ინდო-არაბ-საბერძნეთი, მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი“. საკმაოდ დიდხანს ვფიქრობდი, რა თემა შემერჩია ენის დღესთან დაკავშირებით. თუმცა, ბოლოს მივხვდი, რომ ჩვენი ენა სრულყოფილი ვერ იქნებოდა, რომ არა რუსთაველის პოემა.

თანამედროვე მკითხველისათვის არ არის იოლი „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიმავალი ურთულესი გზის გავლა და ამ უძვირფასესი პოეტური მემკვიდრეობის აღქმა; მაგრამ ის, ვინც „დაიხარჯება“ და მძიმე შრომით შეაღწევს პოემის სივრცეში,

თვითონვე იგრძნობს უდიდესი პოეზიისა და ყოვლისმომცველი აზროვნების უნიკალურ სიმხურვალეს. იმ ცეცხლს, რომელიც გახვევია მთელი პოემის კითხვის დროს და, ფაქტობრივად, შენც ერთ-ერთი პერსონაჟთაგანი ხდები, რომელიც იბრძვის, იმარჯვებს, ტირის, იღიმის... მეც სწორედ ამ ემოციებმა ამიტანეს და დღეს თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი როლი ითამაშა ჩემი ცხოვრების გარკვეულ ეტაპებზე. ხანდახან მე და მისი გმირები ერთად ვტიროდით, ხანაც ბედნიერები ვიყავით. საბოლოო ჯამში კი, ჩემს შინაგან სამყაროში დაგროვდა რჩევები, სამაგალითო საქციელები და გამოცდილება, რომელიც პერსონაჟებთან თანაცხოვრებით მივიღე.

ძალიან დიდი ბედნიერებაა, როდესაც შოთა რუსთაველის მსგავსი პოეტი ჩემი მიწის შვილია, როდესაც შემიძლია მის შემოქმედებას არა მხოლოდ ქართულად გავეცნო, არამედ ჩემი მოსაზრებები და ვარაუდები, გრძნობა-განცდები ამავე ენაზე გამოვხატო.

ძალიან ბევრ ქართველ მწერალს აქვს მიძღვნილი შეუდარებელი სიტყვები რუსთაველის პოემისადმი. მათ შორის გამოვარჩევდი გიორგი ლეონიძის ლექსს „ვეფხისტყაოსანს“. გოგლა ლექსის დასაწყისშივე არამინიმალურ სიყვარულს ამჟღავნებს პოემისადმი:

„ხელში ავიღებ... გაკოცებ,
 კიდევ ჩაკოცნი... ჩაკცქერი;
 წიგნი კი არა, — ჟრჟოლა ხარ,
 ჩამოქაფული ჩანჩქერის.
 წიგნი კი არა, — ბალი ხარ,
 ოქროს ცვარჩამონვეთილი;

გამლილი ბაირალი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვთელი!“

თავად რუსთაველმა საკუთარ სტრიქონებს „მარგალიტი
ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“ უწოდა, ხოლო XX საუკუნის
ხმაძალიანი პოეტი მას ასე აფასებს:

„ქალაღღზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდვენ — ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან“.

პოეტის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედაც რომ ის
წიგნია, რომელიც ადამიანში ურუოლას ინვეეს... მოაქვს ზღვა
ემოცია და ამავე პოემით ჰყავს ქართველს „სიკვდილი
დამარცხებული“.

ჩვენმა საგანძურმა, ენის მარგალიტმა იმდენად დიდი
აღიარება მოუპოვა საქართველოსა და ქართველ ერს, რომ ის
47 ენაზე თარგმნეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთმა
მისმა მთარგმნელმა, კონსტანტინე ბალმონტმა შეუდარებელი
კომენტარი დაგვიწერა: „დიდი იტალიელები და რუსთველი“. ამ
წერილის დასაწყისში ბალმონტი წერს, რომ სიყვარულის შესახებ
ჩვენს ათასწლეულში ყველაზე უკვდავი სიტყვები აქვთ ნათქვამი
რუსთველს, დანტეს, პეტრარკასა და მიქელანჯელოს. თუმცა ამ
ბრწყინველე ოთხეულში, მისი აზრით, ყველაზე მეტად
რუსთველია ამაღლებული. „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნისა და
პოემიის უიშვიათესი ნაბავია, სიყვარულისა და მეგობრობის
საუკეთესო ჰიმნია... თამარის საქართველო კი აღმოსავლეთისა
და დასავლეთის ცივილიზაციების საუკეთესო მიღწევა იმ დროში.

კონსტანტინე ბალმონტის ეს წერილი არის საქართველოს
ისტორიის კარგი მცოდნის, მიუკერძოებელი კაცისა და დიდი

პოეტის გულიდან ამოფრქვეული ბრწყინვალე ესე და ისტორიული ნარკვევი. მან ყველა დასავლელ მწერალზე უფრო მაღლა დააყენა შოთა რუსთაველი თავისი შვილობილით. ეს არის აღიარება, რომელსაც მხოლოდ ქართველები კი არა, სხვა ერის წარმომადგენლებიც იზიარებენ და პატივს სცემენ. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი არგუმენტია იმისა, თუ რატომ მიმაჩნია და რატომ ავირჩიე საკვლევ თემად სწორედაც რომ „ვეფხისტყაოსანი“.

წარმოგიდგენიათ, ასეთი პოემის თარგმნა რამდენ შრომასა და ენერგიას მოითხოვს? და ეს 47-ჯერ გააკეთეს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა მაშინ, როცა თავად ქართველებსაც ზოგიერთი სიტყვის გასაგებად სხვათა დახმარება გვჭირდება. ამის მიუხედავად, მას ხომ თარგმნიან, სწავლობენ და გაიზიარებენ კიდევ. ვფიქრობ, ეს უდაოდ „საქართველოს საგანძურია“, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და მთელ მსოფლიოს მოაწონა თავი.

დღემდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 160-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი, მათ შორის არის ფრაგმენტებიც. უძველესი სრული ხელნაწერი ეკუთვნის მამუკა თავაქალაშვილს და იგი 1646 წლით თარიღდება. ძველი ხელნაწერების განადგურების მიზეზად მიიჩნევა როგორც XIII საუკუნის შემდეგ დაწყებული მონღოლთა ბატონობა საქართველოში, ასევე, უფრო მოგვიანებით, „ვეფხისტყაოსნის“ დევნა. თუმცა მან XXI საუკუნემდეც მოაღწია და თითოეული ქართველის გულში დაიკავა თავისი ადგილი. შუა საუკუნეებშიცა და შემდეგ დროშიც „ვეფხისტყაოსანი“ დიდ როლს ასრულებდა ქართველი ერის, განსაკუთრებით კი, ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობის საქმეში.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველთათვის ერთ-ერთ საყვარელ წიგნად რჩებოდა. XVII საუკუნის პოეტმა არჩილმა საკუთარ ლექსში თავად რუსთაველი აამეტყველა და ისე შეაფასა მისი „საღმრთოდ გასაგონი“ პოემა:

„საქართველო სავსე არის,
ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ,
ანუ გული ვისცა უნუხს“.

„ვეფხისტყაოსნის“ დიდი მნიშვნელობა ჩანს იმაშიც, რომ ხშირად მას მოიხსენიებდნენ, როგორც „ქართველთა მეორე ბიბლიას“. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ყოველთვის იყო ქართველი პატარძლის მზითვეში, რუსთაველის ლექსებს მღეროდნენ საქორწინო ზემის დროს. ქართველთა შორის ხშირად იყვნენ ისეთები, რომლებმაც არა მარტო ცალკეული თავები, არამედ მთელი პოემა ზეპირად იცოდნენ. ბრძოლის დროს, ხშირად, რუსთაველის აფორიზმებს გამამხნეველი მნიშვნელობაც ენიჭებოდა. ქართლის ცხოვრებაში მოთხრობილია ამბავი, რომლის მიხედვითაც, 1699 წელს ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა, მას შემდეგ, რაც იგი მეთაურმა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმით — „უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანი“ — გაამხნევა, სპარსელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაამარცხა.

აღსანიშნავია, „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. XV-XVIII საუკუნეების ქართველი პოეტები შოთა რუსთაველს მიმართავდნენ როგორც შთაგონების წყაროს. ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში „ვეფხისტყაოსანი“ მიჩნეულია იდეალურ ნაწარმოებად, პოეზიის ეტალონად. ხშირია ისეთი

შემთხვევები, როდესაც პოეტები თავიანთ ლექსებში რუსთაველს პატიებას სთხოვენ იმისთვის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ მათაც გაბედეს „უმსგავსო ლექსების თქმა“. ასევე აიდეალებენ რუსთაველის შემოქმედებას აღორძინების პერიოდის ქართველი პოეტებიც, მათ შორის, დავით გურამიშვილიც, რომელიც დავითთანში აღნიშნავს: „მე რუსთაველსა ლექსს არ უღრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა“.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველმა თავისი პოემა მიუძღვნა მიჯნურს, რომელიც უყვარდა, რომელსაც აფასებდა, თუმცა, მის გვერდით ყოფნით ვერ ისიამოვნა. რუსთაველმა ამ პოემით ეფექტური ისტორიული ნარკვევი შემოგვინახა, მაგრამ ამაზე უფრო მეტად, გვანახა თუ როგორ ეტრფოდა იგი მეფე თამარს. ვფიქრობ, სწორედ ამ სიყვარულმა შეაძლებინა ავტორს „საღმრთო შაირის“ დანერა და უფაქიზესი განცდების ბუსტად გადმოცემა. როდესაც მომავლდება „ვეფხისტყაოსანი“, მაშინვე თვალწინ გამოილევებს მიჯნურობის ეპიზოდები, რომლებსაც უემოციოდ ვერასდროს ვკითხულობ.

„სიყვარული აღგვამალლებს“ — წერს ავთანდილი როსტევანს. სწორედ მოციქულთა ამ სიტყვებით არიან პოემის პერსონაჟები განმსჭვალულნი. თითოეულმა ცალ-ცალკე და ყველამ ერთად მშვენივრად იცის მიჯნურობის არსიცა და ფასიც. მართო ნესტანის წერილიც კმარა რუსთაველის სიყვარულის გასააზრებლად. ჩემთვის ინდოთა დედოფლის უსტარი მეტად შთამბეჭდავი, ამაღელვებელი და დამაფიქრებელია. გარდა შინაარსისა და ნესტანის იდეოლოგიური მრწამსის გასიგრძეგანებისა, იგი მიზიდავს თავისი ექსპრესიულობითა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით. საყვარელთან

მიწერილი წიგნი სავესეა გრძნობებითა და ენობრივი თამაშის ნიმუშებით. მარტო ეს მეტაფორა რაოდენ ძვირფასია:

„ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნალველსა ამონანები,
მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსას ვანები“.

ნესტანის უსასრულო სიყვარული კიდევ უფრო მომნუსხველია, როცა, თითქმის, უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილი, სამომავლო სიყვარულის წარმოდგენას მაინც ბედავს, ოღონდ არა აქ, მზისქვეშ, არამედ იქ — ზეციურ სამყოფელში: „მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი“.

გვათბობს ნესტანის ზრუნვა ტარიელისადმი, გვაოცებს მისი თავგანწირვის უინი, გვხიბლავს მისი პატრიოტიზმი და ეროვნული სულისკვეთება მიტოვებული ინდოეთისადმი დამოკიდებულებაში, გადამდებია მისი მოთმინება და გონიერება.

დაუსრულებლად შემოძლია „ვეფხისტყაოსანსა“ და მის გმირებზე საუბარი. ეს ის შემთხვევაა, როცა „არ უნდა შეამოკლო და არა ჰქმნა სიტყვა-მცირობა“. შოთა რუსთაველის პოემა დღემდე უკონკურენტო და დიადია. თითოეულმა ქართველმა მშობლიური ენის სიღრმეებში მხოლოდ იმიტომ მაინც უნდა ჩაიხედოს, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ზიარება შეძლოს.

მარიამ ფოლადაშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

ლევან გოთუას ვარამი

„ჩემს თავზე ზღაპარმა გადაიარა. ერთი ადამიანისთვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც!“ — ეს ლევან გოთუას სიტყვებია. ადამიანის, რომელიც ნამდვილად მოგვაგონებს მითურ გმირს. აი, ისეთს, ზღაპრებში რომ წაგვიკითხავს. არაამქვეყნიური ძალით შეუძლებელს რომ შეძლებენ ხოლმე და დაუჯერებლად მიგვაჩნია. ლევან გოთუას სწორედ ის პიროვნებაა, წარმოდგენილი გამძლეობით, უზომო პატრიოტიზმითა და ბრძოლით რომ დავგარწმუნა რეალურ ცხოვრებაში ასეთი „პერსონაჟის“ არსებობის შესაძლებლობა. ამის მაგალითი ხომ თავად არის.

ყველაფერი 1921 წლის თებერვალში, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლით დაიწყო. ჯერ მხოლოდ 16 წლის ლევანი კოჭორ-ტაბახმელასთან თავდადებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. შემდეგ იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი და არალეგალური მოძრაობის წევრობა, აჯანყებების მომზადება. თუმცა, მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა დასაწყისშივე დასრულდა. ვინ აპატიებდა სამშობლოს სიყვარულს?! და დაიწყო ბოლშევიკების მიერ მტრად შერაცხული, სულ რაღაც 20 წლის დისიდენტის „წითელი“ რეპრესიები.

დაიწყო, მაგრამ აღარ დასრულდა...

ჯერ იყო ჩხრეკა, ქონების ჩამორთმევა, საკონცენტრაციო ბანაკი, ბნელი, ნესტიანი, მკვლელებითა და ქურდებით სავსე სარდაფი, გადასახლება, ჰატიმრობისა და თავისუფლების დაუსრულებელი მონაცვლეობა. დროდადრო მათ შორის სივრცეს დაკითხვების ოთახი ანაცვლებდა. სხვის დაბეზღებას აიძულებდნენ და თვითონ აბეზღებდნენ. სხვებს არ „ყილდა“ და თავად „გაყიდეს“, არა უცხომ, არამედ — ბავშვობის მეგობარმა...

„ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორს ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, ასე ძლიერად რომ მიყვარს სამშობლო?!“ — მართლაც ცინიკურია, როდესაც ამ სიტყვების ავტორს სამშობლოს ღალატის ბრალდებით ქალაქ ვორტუკის ბანაკში 10 წლით გადასახლებას უსჯიან. ან კი იცოდნენ განმკითხავენმა, რისთვის სჯიდნენ?! ვინ იცის, სამშობლოდან უკუღმართად გადახვეწილმა ლევან გოთუამაც, „უგზო ქარაფის“ პერსონაჟ სააკაძესავით, რამდენჯერ ინატრა ისევ საქართველო, მაგრამ კვლავ არ გატყდა. მხნეობა, სილაღე, ჰუმანურობა, ბავშვური მიამიტობა ისევ მთავარ შტრიხად გასდევდა მის ხასიათს. შეიძლება სამშობლოს მოსწყვიტეს, გამოკეტეს, მაგრამ ვერ დაიმონეს. იმ ოთხ კედელში გამომწყვდეულიც კი, მათზე თავისუფალი იყო, შინაგანად თავისუფალი.

ამ ბანაკში იწყება ლევან გოთუას მთავარი გამოცდა. ალბათ, -30°C გრადუსი ყინვაც კი არ ყოფილა ისეთი გაუსაძლისი, როგორიც მისი კალმისაგან მოწყვეტა იყო; მაგრამ ეს არც ისე მარტივი განსახორციელებელი აღმოჩნდა. წერის სურვილი იმდენად ფლობდა მის არსებას, რომ სატრანსფორმატორო სადგურში შესული, ტრანსფორმატორის გვერდით ამოთხრილ ორმოში, სანთლის შუქზე წერდა.

შესასვლელ აბრეზზე კი დაანერა: „სასიკვდილოა“. აქაც აჯობა მტერს გამბედაობითა და გამჭრიახობით. ამოთხრილ ორმოსთან სამშვიდობოს მისული მწერალი, ზედამხედველებისაგან თვალსმოფარებული ქმნიდა შედეგებს, სულ უქალაღდოდ, უსაწერკალმოდ, ხან თხელ ფიცრებზე, ხან მუყაოს ნაჭრებზე, ხან მელნით, ხანაც — ძვლისაგან სახელდახელოდ გამოთლილი კალმით. ასე შეიქმნა „გმირთა ვარამი“, „უგზო ქარავანი“ და სხვა არაერთი ფასდაუდებელი ნაწარმოები. წერდა სამშობლოს ისტორიაზე. იმ სამშობლოს, რომელსაც უნახავად აცოცხლებდა გონებაში და შემდეგ ხის ფურცლებზე ინახავდა. ასე გადაარჩინეს ერთმანეთი: წერის დაუძლეველმა უინმა და სიყვარულმა მწერალი, ხოლო მწერალმა — საკუთარი ნაწარმოებები.

22-წლიანი ტყვეობის შემდეგ ეღირსა უკან, საქართველოში დაბრუნება უსამართლოდ გასამართლებულ მწერალს. დაბრუნდა თავად მრავალჭირვარამგამოვლილი, მაგრამ ისევ ისეთი წელში გამართული, ამაყი, უბოროტო, უდიდესი სულის პატრონი. ეპოქამ შექმნა ლევან გოთუა და ლევან გოთუამ შექმნა ეპოქა, თავისი სამაგალითო გმირობითა და სამაგალითო ნაწარმოებებით, რომელიც მისი სულის სარკე იყო; სადაც ირეკლებოდა მწერლის განცდები, ემოციები, ნოსტალგია. სიცოცხლის უკანასკნელი წლები არმაზში, ფარნავაზიანთ კერაში გაატარა, იქ, სადაც მისი ქვეყნის ისტორიას მიეცა დასაბამი და იქვე, მონატრებული სამშობლოს მიწას მიეხარა.

მარიამ ზაქარიძე

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,

ოთო არაბიძე

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

დამპყრობელთა კვალი ქართულ ენაზე

„ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...“

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, ოდნავ განსხვავებული სქემით გავრძელდა მეფის რუსეთის დროს შემუშავებული ენობრივი პოლიტიკა ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მიმართულებით.

მეფის რუსეთი ცდილობდა, ქართველთა ერთი ნაწილისათვის (მეგრელები, სვანები, ლაზები) ღვთისმსახურებისა

და განათლების ენად, მრავალსაუკუნოვანი ქართულის ნაცვლად, ჯერ კუთხური დიალექტი შეეთავაზებინა, შემდეგ კი რუსული ენა დაემკვიდრებინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეორე მდივანი და საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგი მიხეილ სუსლოვი ამბობდა: „დღეს არადა ხვალ, ქართველები დაიწყებენ თავისუფლებისთვის ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ. ბრძოლა ქართველებთან უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან, სვანეთიდან და სამეგრელოდან. საჭიროა მათ მივცეთ ავტონომია და მათი საშუალებით საქართველოში გაღვივდეს შუღლი“.

ქართველი მწერალი, მთარგმნელი და ეთნოგრაფი თედო სახოკია დაიბადა 1868 წლის 15 მარტს, სოფელ ხეთაში (ზუგდიდის რაიონი), ხოლო გარდაიცვალა 1956 წლის 17 თებერვალს თბილისში. 1886 წლიდან იგი ჯერ უნეწვის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ კი პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. 1902 წლიდან საფრანგეთში მცხოვრები ქართველებისთვის გამომავალი გაზეთ „საქართველოს“ თანარედაქტორი იყო. ლიტერატურული მოღვაწეობა მან ილია ჭავჭავაძის უურნალ „ივერიაში“ დაიწყო. თანამშრომლობდა სხვა უურნალ-გაზეთებთანაც („დროება“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.). 1916 წელს თედო სახოკია საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში. მისი თარგმანები ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. მან შეკრიბა და გამოაქვეყნა „ქართული ანდაზები“ (1967) და „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ (ტ. I-III, 1950-1955).

„თქვენ რაღას მისდევთ?!“ — სამეგრელოს „ავტონომიის“ კითხვა დასმულია ერთ ჯგუფ „მეგრელ ავტონომისტთა“ მიერ. ეს

კითხვა აღძრულია მათის სიყვარულისა და მზრუნველობით მეგრულთა დაბალი სოციალური ფენის მიმართ, რომელნიც, როგორც ცალკე „ეროვნება“, თურმე, იჩაგრებიან საქართველოს უღლეური სუვერენიტეტისაგან... როგორც ქართველი ერის განუყრელ, ორგანიულ ნაწილს, სამეგრელოს, რომელსაც თავისი დღენი, რაც თავი ახსოვს, დედაქართულთან უცხოვრია საერთო ცხოვრებითა, მათთან ერთად ერთ უღელში შებმულს უწევია ცხოვრების ჭაპანი, მათთან ერთად შეუქმნია საერთო კულტურა, ახლა, ამდენ საუკუნეთა შემდეგ, ვიდაც გარეწარი გამოდის და ურჩევს — შენს ღვიძლს დედას გულიდან უნდა მოსწყდეო?!“

„ყველას მოგეხსენებათ, რომ მეგრული ენის საკითხი რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა. ეს საკითხი გაჩნდა მას აქეთ, რაც რუსებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. როცა საქართველოს სხვადასხვა სამთავრო გაუქმდა და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ნაწილი გაერთიანდა, რუსის მთავრობამ იგრძნო ამ გაერთიანების საშიშროება და გადაწყდა ხელოვნურად შეექმნა „დაქუცმაცება ჩვენის ქვეყნისა“.

1870-იან წლებში იერიში მიტანილ იქნა სამეგრელოს სკოლებზე. აქ სკოლებიდან ქართული ენა განდევნილი იყო და პირდაპირ რუსულის საშუალებით ასწავლიდნენ საგნებს. ასე იყო საქმე „სამოქალაქო“ და „ნორმალურ“ სკოლებში. ამ სკოლებში მყოფი შეგირდები ქართულის ანუ, როგორც ისინი ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, „ჩქინობურას“ (ე.ი. ჩვენებურას) წერა-კითხვას კონტრაბანდით, შინაურულად, მალევით თულა სწავლობდნენ.

ასე მიდიოდა სამეგრელოს გარუსების საქმე 1890 წლამდე. ამ ხნიდან იწყება უფრო „დასაბუთებით“ უარყოფა ქართული ენისა, როგორც სამშობლო ენის და სწორედ ამ ხნიდან სცენაზე

გამოდის კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი“ იანოვსკი (ტომით პოლონელი) და მისი მარჯვენა ხელი ლევიცკი (ისიც პოლონელი). ლევიცკიმ სკოლებში ჯერ შემოიღო ე.წ. „მუნჯური“ მეთოდი, რომლის მიზანი იყო რუსული ენის შესწავლა ჯერ უშუალოდ, დედაენის დაუხმარებლად და შემდეგ, სრულიად განდევნა ქართული ენისა საქართველოს სკოლებიდან.

სამშობლო ენას, ქართულ ენას თუ კიდევ სული ედგა სამეგრელოში, ისევ სამრევლო სკოლებში. მიზეზი ამისა ის იყო, რომ ღვთისმსახურება ქართულად სრულდებოდა და სასაუბრო ენაც ქართული უნდა ყოფილიყო სასულიერო სკოლებში.

ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა სამეგრელოში, რაც დეკანოზი ვოსტორგოვი გამოჩნდა. იგი თამამად ამბობდა — მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათ სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგივრად რუსული, სახელმწიფო ენა, ასწავლეთო. ბოლოს იმდენად გაკადნიერდა ეს ანათეოროსანი პოლიტიკოსი, რომ პრესაშიც გაბედა ამის მტკიცება. „ლევიცკი-ვოსტორგოვები ყველამ იცის, რასაც მისდევდნენ, მაგრამ თქვენ, სამეგრელოს „ავტონომისტებო“, თქვენ რაღას მისდევთ?!...“

მავანი იკითხავს, რა ზიანი მოგვაყენა რუსეთმა ქართველებსო? აი, ესაა არასრული სია:

1770 – ღალატი ასპინძის ომში;

1795 – ღალატი კრწანისის ომში;

- 1801 – საქართველოს ანექსიის დაწყება, რომლის დამთავრება მხოლოდ 1860-იანი წლების დასაწყისში შეძლო რუსეთის იმპერიამ;
- 1801 – ქართული სამეფო ოჯახის გადასახლება;
- 1804 – მთიულეთის აჯანყების ჩახშობა;
- 1810 - რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობა და ანექსია;
- 1811 – საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმება;
- 1812 – კახეთის აჯანყების ჩახშობა;
- 1819 – იმერეთის აჯანყების ჩახშობა;
- 1841 – გურიის აჯანყების ჩახშობა;
- 1856 – სამეგრელოს აჯანყების ჩახშობა;
- 1887 – დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა;
- 1920 – სოჭის ანექსია;
- 1921 – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ანექსია;
- 1921 – საინგილოსა და ლორეს, ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილის გაჩუქება (ყარსის ხელშეკრულების თანახმად);
- 1922 – სვანეთის აჯანყების ჩახშობა;
- 1923 – კოტე აფხაზის დახვრეტა;
- 1923 – ლევან რაზიკაშვილის დახვრეტა;
- 1923 – დავით და კონსტანტინე მხეიძეების ცხედრების ამოთხრა და ქუჩა-ქუჩა თრევა;
- 1924 – ქართველ პატრიოტთა აჯანყების გაუგონარი სისატიკით ჩახშობა;
- 1924 – ვალიკო ჯულელის დახვრეტა;
- 1925 – მიხა ხელაშვილის მკვლელობა;
- 1937 – არნახული ტერორი და მასობრივი დახვრეტები;

- 1942 – სტუდენტებისგან შემდგარი პატრიოტული ორგანიზაცია „სამანის“ 17 წევრის დახვეწა;
- 1956 – 9 მარტის ტრაგედია;
- 1978 – სახელმწიფო ენის გაუქმების მცდელობა;
- 1989 – 9 აპრილის ტრაგედია;
- 1989 – მერაბ კოსტავას მკვლელობა;
- 1991 – საქართველოს რესპუბლიკაში პუტჩის ორგანიზება-დაფინანსება;
- 1992-1993 – აფხაზეთის ომი, რომლის შედეგად 25 ათასი დაღუპული და 300 ათასი იძულებით გადაადგილებული მოქალაქე ჰყავს საქართველოს;
- 1993 – ზვიად გამსახურდიას მკვლელობა;
- 2004 – შეტაკებები სამაჩაბლოში;
- 2008 – ომი საქართველოს წინააღმდეგ;
- 2008-2021 – მცოცავი ოკუპაცია და ადამიანების გატაცება საკუთარი სამოსახლო ტერიტორიიდან.

ფერეიდანი — პატარა საქართველო

ფერეიდნელები ირანის ფერეიდანის მხარეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები არიან. ისინი მეტყველებენ ქართული ენის ფერეიდნულ კილოზე, რომელიც მცირედით განსხვავდება თანამედრო სალიტერატურო ქართული ენისგან. ფერეიდნელების რაოდენობა, დაახლოებით, 12-14 ათასი ადამიანია.

1616 წელს შაჰ-აბასმა 100 ათასამდე ქართველი, უმთავრესად, კახეთიდან და ჰერეთიდან ირანის პროვინციებში: ხორასანში, ისპაჰანსა და ფერეიდანში გადაასახლა. დროთა განმავლობაში, მათი უმრავლესობა გასპარსელდა. მხოლოდ ფერეიდანში დასახლებული ქართველების ჯგუფმა შემოინახა მშობლიური ენა და ზოგიერთი ტრადიცია.

ფერეიდნელი ქართველები ფერეიდანის 14 სოფელში ცხოვრობენ. ამ დასახლებებს დღემდე აქვთ შემორჩენილი ქართული სახელები: მარტყოფი, ნინონმინდა, თელავი, ვაშლოვანი. 1840 წელს ფერეიდნელი ქართველები ინგლისელმა ჰენრი ლეიარდმა აღწერა. მისი ცნობით, ფერეიდნელი ქართველი ქალები არ იხურავდნენ ჩადრს, ასევე, მათ სოფლებში მაღალ დონეზე იყო განვითარებული მეხილეობა.

ფერეიდანში მცხოვრები ქართველების კულტურა და ყოფა განსხვავებულია თურქეთში მცხოვრები ქართველების კულტურისა და ყოფისგან, რადგან ფერეიდნელები იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. განსხვავებულმა რელიგიამ, ცხოვრების პირობებმა და ეკოლოგიურმა გარემომ მთლიანად შეცვალა მათი ტანისამოსი, სამეურნეო იარაღები და ა.შ. ქართული ყოფიერებიდან მათ შეინარჩუნეს ეგზოგამურობა, გვარებად დასახლების ფორმა და არ მიიღეს ურვადის (სყიდვითი ქორწინება) სპარსული ტრადიცია.

პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ფეხი დაადგა ფერეიდანის მიწაზე იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გაცნობის მიზნით, იყო ლადო აღნიაშვილი, რომელმაც ფერეიდანი 1894 წელს აღწერა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოება XIX საუკუნის დასასრულისათვის დიდ ინტერესს იჩენდა ირანში მცხოვრები ქართველების მიმართ, ლაღო აღნიაშვილი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც გადანწყვიტა საკუთარი სახსრებით გამგზავრებულის ამ შორეულ მხარეს. ხიფათითა და საშიშროებით მოცული გზა მან მხოლოდ იმ მიზნით დაძლია, რომ ვალი მოეხადა თავისი ხალხის წინაშე. დიდი წვალეებისა და გაჭირვების ფასად, ლაღო აღნიაშვილმა მოახერხა ფერეიდანის მხარის, თითქმის, ყველა სოფლის ნახვა. მძიმე მგზავრობამ, ბევრი დაბრკოლების გადალახვამ და ხელმოკლეობიამ იგი იმდენად გადალალა, რომ მალევე დატოვა ფერეიდანი და საქართველოში დაბრუნდა. დაულალავმა შრომამ ფიზიკურადაც მოტეხა და სულიერადაც გადაქანცა იგი. დასნეულებული ლაღო 1904 წლის აპრილში გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

იმის მიუხედავად, რომ შაკ-აბასმა მრავალი ტანჯვა მიაყენა საქართველოს, ათასობით დაახოცინა საკუთარ ჯარს და უფრო მეტი ქართველი მშობლიურ მიწას მოსწყვიტა, უსამშობლობა მიუსაჯა, ხოლო ქართული ნაყოფიერი ტერიტორიები უცხოტომელ ურჯულოებს დაურიგა, მან მაინც ვერ დაამარცხა ეს პატარა, ამაყი ხალხით დასახლებული ქვეყანა. ამბობენ, რომ სიკვდილის წინ ირანის მბრძანებელს უთქვამს: „ორი მტერი ვერ დავაჩოქე — სიკვდილი და ქართველი ერი“.

გიორგი ზედელაშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

**უორდროშების ღვანლი საქართველოს
კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციაში**

უორდროშები და საქართველო — ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთგვარი ნიშნულია. და-ძმა ოლივერ და მარტორი უორდროშების მოღვაწეობა გადაჯაჭვული იყო XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებასთან.

მარტორი უორდროში ბრიტანელი სწავლული და მთარგმნელი იყო. მან შვიდ უცხო ენასთან ერთად, ქართულიც შეისწავლა და 1894-1896 წლებში საქართველოში იმოგზაურა. ქართულ მინაზე ფეხი პირველმა მისმა ძმამ, ოლივერ უორდროშმა დადგა. ეს ბრიტანელი დიპლომატი მოგზაურობით იყო გატაცებული. მან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა და 1887 წლის აპრილში პირველად ეწვია საქართველოს. თითქმის, ყველა კუთხე მოინახულა.

ეს და-ძმა, თითქოს, საქართველოს სიყვარულით „მოინამლა“. „როდესაც სტუმართმოყვარეობას ვამბობ, ამ სიტყვას ისე კი არ ვხმარობ, როგორც საზოგადოდ არის მიღებული. ქართველი კაცი ისე თავაზიანად და ისეთი

სიყვარულით ეკიდება თავის სტუმარს, რომ ევროპელს არც კი დაგვესიზმრება“, ასე ახასიათებდა ქართველებს ოლივერი.

უორდროპებს ყველაფერი უყვარდათ, რაც ამ ქვეყნის სახელს უკავშირდებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულ პროზასა და პოეზიას უთმობდნენ. მათ თარგმნეს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ხალხური ზღაპრები და სხვ. ტუბერკულოზით დაავადებული მარჯორი უორდროპი ისე გარდაიცვალა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მისეული თარგმანის გამოცემა ვერ მოასწრო. 1912 წელს, მარჯორის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, ოლივერ უორდროპმა ლონდონში გამოსცა მისი დის მიერ ინგლისურად პროზად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უორდროპების ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესა და ოლლა გურამიშვილთან. ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, მარჯორი უორდროპმა ქართულად დაწერილი ბარათი გაუგზავნა ილიას, რომელშიც ახალგაზრდა ქართველოლოგი მას „განდეგილის“ თარგმანის გამოცემის ნებართვას სთხოვდა. მარჯორიმ ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ინგლისურად თარგმნა 1894 წელს დაიწყო და 1895 წელს ლონდონში დაბეჭდა. მანვე თარგმნა ინგლისურად ილიას „მგზავრის წერილებიც“. „ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. ეს მეღეჭეთა ენაა“, ასე წერდა საქართველოზე ოლივერ უორდროპი.

მარჯორის ნაადრევი გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ და დედამ ოქსფორდის უნივერსიტეტს შესწირეს თანხა, რათა იქ დაარსებულიყო ქართული კათედრა. ოქსფორდშივე შეიქმნა მარჯორი უორდროპის სახელობის ქართულ წიგნთა და ხელნაწერთა ფონდი.

ეს და-ძმა, ვისთვისაც სრულიად უცხო იყო ჩვენი ქვეყანა, ყველაფერს აკეთებდა, რათა მთელ მსოფლიოს გაეგო პატარა საქართველოს უნიკალურობა. მართალია, ისინი არ იყვნენ წარმოშობით ქართველები, თუმცა, ამხელა ღვაწლის გამო, თამამად შეიძლება ვუნოდოთ საქართველოს ლეგენდარული მოღვაწეები, რომელთა სახელი სამუდამოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. უორდროპების შთამომავლებიც აგრძელებენ საქართველოს სიყვარულს. რუდუნებით ინახავენ და ემსახურებიან დიდი წინაპრების დანატოვარს — საქართველოს სახელს ბრიტანეთის მიწაზე.

„თბილისობა 2015“-ის ფარგლებში, უორდროპების სახელობის სკვერში, ოლივერ და მარჯორი უორდროპების ძეგლი გაიხსნა. ვფიქრობ, ეს მხოლოდ მცირედი მაღლიერების ნიშანია ამ ადამიანების მიმართ, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ჩვენ ქვეყანას.

ანა ურდულაშვილი

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის
მიმართულების ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. მერი ლომია

ქართული კულტურის კერები უცხოეთში

ქართული ენის განვითარებასა და გავრცელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ქრისტიანულ ეკლესიამონასტრებს, როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იყო და არის ქართული კერები დაარსებული და აღმოჩენილი. ქართული ტაძრები განსაკუთრებით გავრცელებული იყო სირია-პალესტინაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ბიზანტიასა და მაკედონიაში. ამ უმნიშვნელოვანესი კერებიდან განსაკუთრებულია ათონის ივერიის მონასტერი, სვიმეონ საკვირველმოქმედის სავანე, პალესტინის ჯვრის მონასტერი და პეტრიწის მონასტერი მაკედონიაში.

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართველებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სამონასტრო კოლონიზაცია ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ხანაში დაუწყიათ. თავდაპირველად, ასეთ უახლოეს პუნქტებათ ითვლებოდა პალესტინა და სირია.

ჯვრის მონასტერი პალესტინაში

ჯვრის მონასტერი პალესტინის ქართული სამონასტრო ცენტრებიდან შედარებით გვიანდელია. მას შემდეგ, რაც XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან არაბთა პოლიტიკა პალესტინის ქრისტიანებისადმი რამდენადმე შეიცვალა, ამ ქვეყანაში ქართველთათვის შესაძლებელი გახდა

სამონასტრო ცხოვრების განახლება. XI საუკუნის I ნახევარში გიორგი პროხორე შავშელმა დააარსა ჯვრის მონასტერი საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერითა და დახმარებით. გიორგი შავშელს სავანეში შემოუკრებია 80-მდე ქართველი.

1071 წელს იერუსალიმის აღებისას თურქ-სელჩუკებმა ქართული სავანეც დაარბიეს და ნაწილობრივ დაანგრიეს. ცოტა ხნის შემდეგ იგი კვლავ ადადგინეს და მოხატეს დავით აღმაშენებლის დახმარებით. 1273 წელს მონასტერი გადააკეთეს მეჩეთად, მაგრამ საქართველოს მეფეების ჩარევით მალევე დაიბრუნეს იგი ქართველებმა და განაგრძეს სამონასტრო ცხოვრება. ცნობილია, რომ XVII საუკუნის 40-იან წლებში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს ჯვრის მონასტერში დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია.

ამ პერიოდში იერუსალიმის ქართველობასა და პალესტინის ჯვრის მონასტერს უდიდეს დახმარებას უწევდა სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი. მისი ღვაწლი ასახულია მონასტრის ქართულ და ბერძნულ წარწერებში. ჯვრის მონასტერში ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები და კალიგრაფები: არსენ იყალთოელი, ნიკოლოზ გულაბერისძე... ტრადიციული გადმოცემით, აქ ერთხანს უმოღვაწია შოთა რუსთველსაც. საგულისხმოა, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIX საუკუნემდე, მიუხედავად უცხოელთაგან მუდმივი თავდასხმებისა და დევნაშევიწროებისა, ჯვრის მონასტერი პალესტინაში მაინც რჩებოდა ქართული მწერლობის უმთავრეს ცენტრად. XVIII საუკუნის დასასრულამდე ტაძარი ნომინალურად კვლავ ითვლებოდა ქართველთა საკუთრებად, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს დიდებული სავანე მთლიანად დაიცალა ქართველთაგან და ყოვლად არაკანონიერად გადავიდა ბერძნების ხელში.

სვიმონ საკვირველმოქმედის საგანე

აღმოსავლეთ სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, შავ ანუ საკვირველ მთაზე არსებობდა ქართველთა სამონასტრო ცენტრები. აქ მოღვაწეობდა სვიმონ მესვეტე საკვირველმოქმედი, რომლის სახელი დაკავშირებულია ეკლესიის ისტორიასთან. შავ მთაზე ინტენსიური მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა იწყება XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა აქ დასახლდა სამხრეთ საქართველოდან წამოსული ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი და მწიგნობარი: გიორგი შეყენებული, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, საბა თუხარელი, ანტონ ტბელი და სხვები. XI საუკუნის II ნახევარში შავ მთაზე 60-მდე ქართველი მოღვაწეობდა. XIII საუკუნის ბოლოს შავი მთის მონასტრების ლიტერატურული საქმიანობა მთლიანად შეწყდა. როცა სირია თურქებმა დაიპყრეს და ანტიოქია პატარა მაჰმადიან ქალაქად იქცა, მონასტერიც გავერანდა და დაინგრა. ქართველებმაც იძულებით მიატოვეს იქაურობა სამუდამოდ.

ათონის ივერთა მონასტერი

980-983 წლებში ათონის წმინდა მიწაზე ტაო-კლარჯეთის საგანეებში აღზრდილი მოღვაწეების მიერ დაარსდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი. დამაარსებელია იოანე. მან თორნიკე ერისთავის მიერ ბრძოლებში მოპოვებული სიმდიდრის ნაწილით ააგო ეს დიდებული ტაძარი, რომელიც მთელ იმ მხარეში

გამორჩეული იყო მშვენიერებით, სილამაზით და განთქმული - სიმდიდრით.

თავდაპირველად მონასტრის წინამძღვართა გადაწყვეტილებით, სავანეში არ უნდა შეეშვათ ბერძნები.. სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, მონასტერში მათი რიცხვი მატულობდა... სიმდიდრეს დახარბებული ბერძნები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ტაძარს, გაძარცვეს და მონინდომეს ქართველების სრულიად განდევნაც კი. XIV საუკუნის II ნახევრიდან ფაქტობრივად ბერძნები განაგებდნენ ყოველივეს და, ბოლოს, XIX საუკუნეში, როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ბერძნებმა საბოლოოდ გამოდევნეს ქართველები ათონის მთიდან და დაეპატრონნენ ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლს, "ჩვენი წინაპრების ნაჭირნახულებეს"

ათონის ივერთა მონასტერი ბიზანტიაში იყო ქართული სულიერი კულტურის მძლავრი კერა, ქართული ეროვნული იდეის მატარებელი. მონასტერში თავი მოიყარეს ქართველ მოღვაწეთა საუკეთესო ძალებმა. აქაურ ლიტერატურულ სკოლას სხვადასხვა დროს წინამძღვრობდნენ იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი. აქვე მოღვაწეობდნენ სტეფანე ათონელი, არსენ ნინოწმინდელი, იოანე გრძელისძე და სხვ. აქ, ათონზე, ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში.

პეტრიწის მონასტერი მაკედონიაში

საზღვარგარეთის ქართულ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პეტრიწონის მონასტერს, რომელიც აუშენებია

გრიგოლ ბაკურიანისძეს 1083 წელს მაკედონიაში, სოფელ პეტრიწოში.

მონასტრის მთავარი ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისა იყო, ხოლო სხვა ორი პატარა ეკლესია ატარებდა იოანე ნათლისმცემლისა და მთავარმოწამე გიორგის სახელს. გრიგოლს ქართულ და ბერძნულ ენებზე თავად შეუდგენია მონასტრის ტიპიკონი (წესდება), სადაც იყო განსაზღვრული მონასტრის მკვიდრთათვის სავალდებულო წესები და თანვე ხაზგასმით მითითებული, რომ მონასტერი აშენდა მხოლოდ ქართველთათვის (ამიტომაც უწოდებდა გრიგოლი "ქართველთა ანუ ივერიელთა მონასტერს").

პეტრიწონის მონასტერი არ ემორჩილებოდა არც ერთ ადგილობრივ საეკლესიო და საერისკაცო ხელისუფალს. შედგებოდა 50 ბერისაგან. მონასტრის პირველი წინამძღვარი გრიგოლი იყო. მხოლოდ პეტრიწონის მონასტერთან არსებობდა სემინარია, სადაც მონასტრისათვის სამღვდლოდ ამზადებდნენ ქართველ ბავშვებს. სემინარიაში შესვლა შეეძლო მხოლოდ ქართული წერაკითხვის მცოდნეს; სწავლებაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

საქართველოში პეტრიწონის სკოლის ტრადიციები გაგრძელდა გელათის მონასტერში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ გადმოსახლდა იოანე პეტრიწი. XIII საუკუნის დასაწყისში ჯვაროსნებმა პეტრიწონის მონასტერი დაარბიეს და გაძარცვეს. ამიტომ მონასტრის საქმიანობა ძალიან შეფერხდა, მაგრამ XIV საუკუნის დამდეგამდე აქ ჯერ კიდევ იყო ქართული ელემენტი, შემდგომ კი იქაურობას მთლიანად დაეპატრონნენ სრულიად სხვები.

დასასრულ, როგორც პეტრიწონის მონასტრის, ისე უცხოეთის სხვა ქართული ცენტრების მოღვაწეობა და, საზოგადოდ, მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი ღვაწლია.

მარიამ კაპანაძე

გრ. რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის
სამართლის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი — პროფ. მერი ლომია

ქართული ენის მოამბე

„ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელს, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდბუნებოვანების შარავანდედითა და თავყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი თხოვნა, იმათი დაუეცნარობა“ — ილია ჭავჭავაძე.

დედაენის პირველ მკვლევრებად ის მთარგმნელები გვევლინებიან, რომლებმაც ქართული ქრისტიანული მწიგნობრობის ტვირთი ზიდეს საუკუნეების განმავლობაში.

XI საუკუნემდე ქართული ენის გრამატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია. თუმცა, ანტონ პირველს უნახავს იოანე პეტრიწის ნაშრომები ქართული ენის აგებულების შესახებ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ პირველი „ქართული ენის გრამატიკა“ სწორედ მისი შექმნილი უნდა იყოს.

უკვე XI საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ეფრემ მცირე იწყებს ქართული ენის შესწავლას. იგი აყალიბებს საკუთარ მთარგმნელობით თეორიას. მისი დამსახურებაა ქართული

ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავება, რომლის დიდი ნაწილი დღემდე აქტიურად გამოიყენება. ჩვენამდე მოღწეული პირველი განმარტებითი ლექსიკონი მასვე შეუმუშავებია და, ყველაფერთან ერთად, საკუთარი პუნქტუაციის სისტემაც დაუმკვიდრებია.

პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი — „სიტყვად ართრთონთათვის“ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XI საუკუნის საქართველოს შესახებ. მისი არსებობა ადასტურებს, რომ იმ დროისთვის უკვე იყო შექმნილი ქართული გრამატიკული ლიტერატურა, რაც წინ დაუხვდათ XVI-XVII საუკუნეების მწიგნობართ. ამ ტრადიციის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო.

მოგვიანებით შეიქმნა ქართულ-იტალიური ლექსიკონები, აგრეთვე, ქართული ენის სახელმძღვანელოები. ქართული ენის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო ეკუთვნის იტალიელ მისიონერს — ანტონიო ჯარდინას, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა გორსა და გურიაში. წლების შემდეგ რომში დაიბეჭდა ქართულ-იტალიური 3084-სიტყვიანი ლექსიკონი სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახ-ჩოლოყაშვილის ავტორობით.

„სიტყვის კონის“ შესავალში სულხან-საბა ორბელიანი აგრძელებს იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის ტრადიციას — ბგერათა და მორფემათა ანალიზის დროს, იგი ბერძნულ და ლათინურ გრამატიკას მისდევს, ხოლო ზმნის პარადიგმის შექმნისას, სულხან-საბა იტალიელი მისიონერების ნაშრომებს იყენებს.

ანტონ კათალიკოსს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ენის განვითარებაში. მისი ავტორობით გამოცემულია „ქართული

ენის ღრამატიკა“, რომელიც დაფუძნებულია წინამორბედთა ნაშრომებზე, თუმცაღა, მან ბევრი თვალსაჩინო ცვლილება შემოიტანა.

ანტონ კათალიკოსისა და ფილიპე ყაითმაზამვილის მოწაფე, გაიოზ რექტორი ავტორია „ქართული ანბანისა“ და „ქართული ენის გრამატიკისა“. მისი „ქართული ენის გრამატიკა“ პირველი ნაბეჭდი სახელმძღვანელოა ქართულ ენაზე.

აღსანიშნავია გიორგი XII-ის უფროსი ვაჟის, დავით ბაგრატიონის ენათმეცნიერული, ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა. მან შეადგინა ქართული ენის „მცირე ღრამატიკა“. მისი ძმის, იოანე ბაგრატიონის მთავარი ნაწარმოებია „კალმასობა“, რომელიც, აგრეთვე, მოიცავს ენათმეცნიერულ საკითხებს. მოგვიანებით მან, ასევე, დაწერა ქართული ენის გრამატიკის მეორე ნაწილი „ყრმათა სასწავლებლად“.

ფრანგმა მეცნიერმა და ქართული ენის მკვლევარმა, მარი ბროსემ პეტერბურგში გამოსცა „ქართული ენის გრამატიკა“. ის პირველი სპეციალისტი იყო, ვინც ქართული ენის ნათესაობითის საკითხის განხილვა სცადა გრამატიკულ მოვლენათა საფუძველზე.

ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევაში ახალი პერიოდის დაწყება უკავშირდება ალექსანდრე ცაგარელს. მას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, რომელთაგან აღსანიშნავია კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა.

დიმიტრი ყიფიანს ქათული გრამატიკული ისტორიის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. მან შეადგინა სახელმძღვანელო სახელწოდებით „ახალი ქართულის გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისგან შვილებისათვის“.

გრამატიკის შესახებ ნაშრომის შექმნა ალექსანდრე ორბელიანს უთხოვია მისთვის. „გრამატიკის“ თავფურცელზე ავტორს მოჰყავს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“.

ენათმეცნიერმა გიორგი ახვლედიანმა არაერთი სახელმძღვანელო შექმნა ქართული ენის თავისებურებებსა თუ გრამატიკული საკითხების შესახებ. მის ფუნდამენტურ ნაშრომთა საფუძველზე დაკანონდა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მრავალი ნორმა.

განუზომელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული ენის კვლევისა და განვითარების ისტორიაში. მან პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების ნათესაობა მთის კავკასიურ ენებთან, როგორც სტრუქტურული, ისე — მასალობრივი მსგავსების საფუძველზე. მას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის კუთხითაც.

მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ამ მეცნიერ-მკვლევართა ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ, რადგან მათ განავითარეს და დღემდე შეურყვნელად მოგვითანეს ჩვენი „ხელიხელსაგომანები“ საგანძური — ენა ქართული. წინაპართა დაფასებით, ყოველთვის გვემახსოვრება „ვისი გორისანი ვართ!“

თამარ მესაბლიშვილი

თბილისის ღია უნივერსიტეტის
ჟურნალისტიკის მიმართულების
ბაკალავრიატის I კურსის სტუდენტი,
ხელმძღვანელი: პროფ. დიანა ტყეშელაშვილი

სიყვარული ატრიალებს...

გურამ დოჩანაშვილი ჩემთვის სიყვარულთან და თავისუფლებასთან ასოცირდება. მისი შემოქმედება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, მაფიქრებდა და მაიმედებდა. მისი ნაწარმოებები მუდმივად შთამბეჭდავი იყო, უფრო და უფრო მიღრმავებდა თვალსაწიერს.

ყველა მწერალში იმალება რაღაც იდეალური, რაც განსაკუთრებულს ხდის მის შემოქმედებას ამა თუ იმ კუთხით. გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოებებიდან ყველა თავისებურად საინტერესო და დამაფიქრებელია. ამიტომ, რთულია რომელიმეს გამოჩინება, ოდნავ გვერდით განვივა. თუმცა, მაინც აქვს ისეთი ნაწარმოები, რომელმაც ჩემში რაღაც სხვანაირი კვალი დატოვა, გაცილებით მკვეთრი: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. განსაკუთრებულად მიყვარს ის ეპიზოდი, როდესაც ღვინისა და ლიტერატურის სიყვარულს ადარებს ერთმანეთს მთავარი პერსონაჟი და ამბობს, რომ არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის. იგი გახაზავს პიროვნების თავისუფლებას. თვლის, რომ ორივეს პიროვნების

თავისუფლებასთან მიეყვართ; მაგრამ იმასაც განმარტავს, თუ რა სახის თავისუფლებაა თითოეულ მათგანთან დაკავშირებული და რომელია ადამიანისთვის უფრო მნიშვნელოვანი. გვეუბნება, რომ ერთი მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამონვეული, მეორე კი შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამაღლებული.

გურამ დოჩანაშვილის ყველა ნაწარმოებში ჩანს ავტორის განცდები, ემოციები, წუხილი, მაგრამ ის რაც აქ ჩანს, ნათელს ჰტენს მის სიყვარულს და დამოკიდებულებას საკუთარი საქმისადმი. სწორედ ამას ვაფასებ — იმის სიყვარულს, რასაც აკეთებდა. სიყვარულითა და სიკეთისთვის წერდა, ჩვენი განვითარებისთვის. დოჩანაშვილი ყველასთვის და ყველას მაგიერ ფიქრობდა რომ „დედამინას სიყვარული ატრიალებს“...



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



ISBN 978-9941-33-094-0

